პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 234 (11845)
პარასკევი, 7 ოქტომბერი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი იყო დარბაზობაზე, რომელიც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა გ. გეორგიუ-დეჟმა მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის დამსწრე მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციების მეთაურთა პატივსაცემად.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი იყო დარბაზობაზე, რომელიც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ მოაწყო, აგრეთვე დარბაზობაზე, რომელიც კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა გამართა.

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერ-ფიზიკოსი ლეო სცილარდი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან, რომელსაც დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი.

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). 5 ოქტომბერს საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა სასაუბროდ მიიღო პაკისტანის დელეგაციის მეთაური ზ. ბჰატო მისივე თხოვნით.

სიმართლე და ძალა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხარეზეა

ПРАВДА

6 ოქტომბრის მოწინავე.

★

დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობას განიცდის ახლა ყველა საბჭოთა ადამიანი. არაჩვეულებრივად სრულად და მკაფიოდ იჩენს თავს ამ დღეებში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი. მისი გაზრდილი როლი იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მთელ კაცობრიობას აღელვებენ.

მშვიდობისა და პროგრესის დიდ და აქტიურ ძალად გამოდის საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე. საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას, საბჭოთა მთავრობის წინადადებებს, რომლებიც ამხანაგმა ხრუშჩოვმა გამოთქვა თავის სიტყვაში საერთო პოლიტიკური დისკუსიის დროს, აგრეთვე თავის გამოსვლებში 1 და 3 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურის შეცვლის შესახებ, მხარს უჭერენ სხვა სოციალისტური ქვეყნების, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს წარმომადგენლები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი ცხოვრება იჭრება. მას ვერ მიუხრახუნებენ კარს, მის იზოლაციას ვერ მოახდენენ. მას ვერ ჩაკეტავენ მანჰეტენის ფარგლებში.

„ჩვენ აქ მთხოვნელები კი არა ვართ, არამედ დიდი ერის, დიდი სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლები“, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ეს იყო ყველა სოციალისტური ქვეყნის მტკიცე ხმა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის პირით ლაპარაკობდნენ ახალი ცხოვრება, ახალი სახელმწიფოები, რომლებიც მტკიცედ გამოდიან მსოფლიო ასპარეზზე.

მსოფლიო ის აღარ არის, რაც იყო თხუთმეტი წლის წინათ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იქმნებოდა. მაშინ დედამიწაზე მხოლოდ ორი სოციალისტური სახელმწიფო იყო — საბჭოთა კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. ახლა უკვე არა ორი ქვეყანა, არამედ თორმეტი, უკვე არა 200 მილიონი კაცი, არამედ კაცობრიობის მესამედზე მეტი დგას სოციალიზმის დროშების ქვეშ.

ეს წყობილება ხალხებს ათავისუფლებს უბედურებისა და კაპიტალიზმის მანკიერებათაგან, აღმავლობა და აყვავება მოაქვს მათთვის. მხოლოდ განუკურნებელ ბრმას შეუძლია ვერ შენიშნოს, თუ როგორ შეიცვალა იმ ქვეყნების ცხოვრება, რომლებიც სოციალისტური გახდნენ. რა განუზომლად გაიზარდა მათი ძლიერება. ამას წინათ კაცობრიობამ აღნიშნა კოსმოსში გაშვებული პირველი თანამგზავრის მესამე წლისთავი. ეს სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი იყო, უდიდესი მეცნიერული გმირობა რომ ჩაიდინა. პირველად სსრ კავშირში აშენდა ატომური ელექტროსადგური და ატომური ყინულმჭრელი. ეს ჩვენი ქვეყანა უშვებს ყოველწლიურად ასი ათასზე მეტ ინჟინერს. სოციალიზმის ყველა ქვეყანამ მიაღწია საწარმოო ძალების განვითარებისა და ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების უმაგალითო ტემპს, რაზეც დამაჯერებლად და მკაფიოდ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვ. გომულკამ, ა. ნოვოტნიმ, ი. კადარმა, გ. გეორგიუ-დეჟმა, ტ. ჟივკოვმა, მ. შეჰუმ.

სოციალიზმის ქვეყნების მძლავრი ბანაკი ასე შეკავშირებული და ერთიანი ჯერ არ ყოფილა! საბჭოთა კავშირი და ყველა სოციალისტური ქვეყანა სისუსტის გამო როდი იბრძვიან აქტიურად მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან თავიანთ ურყევ ძალებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს ჩვენი მართალი საქმე. ომი არ გვესაჭიროება. ჩვენი წინადადებაა, რომ თანამედროვეობის უდიდესი იდეოლოგიური დავა — სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის დავა გადაიჭრას მშვიდობიანი შეჯიბრების გზით. ევროპისა და აზიის სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი დროშების ქვეშ მილიარდზე მეტ ადამიანს აერთიანებენ, არა მარტო მთელ მსოფლიოს უჩვენებენ სოციალისტური წყობილების უპირატესობას, არამედ მშვიდობის მძლავრი ბურჯიც არიან.

ომის დასასრულს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი — ჰენრი ლუსი წერდა, ამიერიდან „ამერიკის საუკუნე“ იწყებაო. რა უბადრუკი და სასაცილო ჩანს ეს წინასწარმეტყველი ჩვენი დროის მწვერვალიდან! „ამერიკის საუკუნე“ არ გამოვიდა. XX საუკუნის მეორე ნახევარი ისტორიაში შევა როგორც კაპიტალიზმის მზის ჩასვენების ეპოქა, ადამიანთა საზოგადოების არსებობის ფორმების სწრაფი განახლების, უფრო პროგრესული სოციალური წყობილებისაკენ უმაგალითო აღმავლობის ეპოქა.

გარდა სოციალისტური ქვეყნების მძლავრი ოჯახისა, წარმოიშვა აგრეთვე ახალი ახალგაზრდა სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელი გახდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. მათი ხმა მშვიდობის დასაცავად, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ძლიერ გაისმის გენერალურ ასამბლეაზე. „ახლა არის ერების შექმნისა და იმპერიების ნგრევის დრო, — თქვა XV სესიაზე ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ. — ეს ღრმა ჭეშმარიტებაა. რამდენმა ქვეყანამ მიიღო თავისუფლება მას შემდეგ, რაც დაიწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება? რამდენმა ხალხმა მოიშორა ჩაგვრის ბორკილი? ადამიანთა ჩაგვრით აგებული რამდენი იმპერია დაიშალა და გაცამტვერდა? ჩვენ, ვისაც წარსულში ხმა არ გვქონდა, ახლა მუნჯი აღარა ვართ. ჩვენ, ვინც ვდუმდით იმპერიალიზმის მიერ მოტანილ უბედურებათა დროს, აღარ ვდუმვართ. ჩვენ, ვის ბრძოლასაც სიცოცხლისათვის კოლონიალიზმის მანტიით ფარავდნენ, ახლა ყველა გვხედავს“.

ქვეყნები, რომლებმაც ახალი ცხოვრება დაიწყეს და ისწრაფვიან უმოკლეს ვადებში აღმოფხვრან წყეული წარსულის მემკვიდრეობა, საარსებოდ არიან დაინტერესებული მშვიდობის საქმის განმტკიცებით. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მხურვალედ უჭერენ მხარს აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები.

გამოიცვალა მსოფლიო, გამოიცვალა აგრეთვე ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე. ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ კაპიტალისტური სამყარო ყოყოჩობდა თავისი ძლიერებით; მას ეგონა, რომ შეიძლება ყველას ელაპარაკოს ძალის ენით, დიქტატის ენით. ამჟამად იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დაკარგეს ეგრეთწოდებული ძლიერის უფლება, რადგან წარსული სიძლიერისაგან მათ ილუზიებიღა შერჩათ. „**თანამედროვე მსოფლიოში რეალური ვითარება ისეთია, რომ ორი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ძალები სულ ცოტა თანაბარია, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც, აგრეთვე ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს, ცხადი იქნება, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხარეზეა არა მარტო უფლება და სამართლიანობა, არამედ ძალაც**“, — თქვა თავის გამოსვლაში გენერალურ ასამბლეაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მსოფლიო ერთიანია და ამავე დროს მრავალსახოვანი. სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ მის სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაზე. ვისაც არ ესმის, რომ დედამიწაზე გრანდიოზული სოციალური და პოლიტიკური ძვრები მოხდა, იგი შეპყრობილია სალათას ძილით. ასეთი პოლიტიკოსები, ხოლო ისინი დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრი არიან, ცდილობენ ჩვენი მჩქეფარე, სწრაფი ეპოქა მამაპაპური არშინით ზომონ. მათი სურვილია დააბრუნონ ის დროება, როცა გუგონი, ძმები ნობელები იყვნენ რუსეთის ბატონ-პატრონები, როცა კოლონიზატორის ჩექმა აფრიკისა და აზიის მიწას თელავდა. ებღაუჭებიან რა წარსულ საუკუნეთა კალთებს, მათ არა სურთ შეიგნონ, რომ წარსულის ეტლით შორს ვერ წახვალ.

მაგრამ ისტორია ულმობელია. იგი გვაუწყებს დრომოჭმული იმპერიალიზმის აღსასრულს. იზრდება და მტკიცდება ახალი საზოგადოებრივი ძალები. ყველასთვის, ვინც ანგარიშს უწევს სინამდვილის უცილობელ ფაქტებს, სავსებით ნათელია, რომ დადგა დრო ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო სამარცხვინო კოლონიალიზმის ნაშთებს, ვაღიაროთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა, განიარაღება ჩვენი დროის ერთადერთი გონივრული პოლიტიკაა. ამასთანავე დადგა დრო შეიცვალოს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი ორგანოს სტრუქტურა, ისე რომ იგი რეალურ ვითარებას შეესაბამებოდეს.

როდემდე შეიძლება მოვითმინოთ ისეთი უდიდესი ისტორიული უსამართლობა, რომ სახალხო ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ არის? როდემდე შეიძლება მოვითმინოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონოპოლიურად ბატონობენ კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებსაც ამის არც უფლება აქვთ, არც ძალა შესწევთ?

„ახლა მზადდება უმაგალითო ორთაბრძოლა ომსა, რომელიც წარსულს სწყურია, და მშვიდობას შორის, რომელიც აწმყოს სწყურია“. ეს სიტყვები გასულ საუკუნეში წარმოთქვა დიდმა ფრანგმა ჰუმანისტმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ. ახლა, XX საუკუნის შუა ხანებში, ორთაბრძოლა აწმყოსა და წარსულს შორის, მშვიდობასა და ომს შორის, აღარ მზადდება, იგი უმაგალითო ძალით წარმოებს მთელ ჩვენს პლანეტაზე.

სიმართლის მარცვლები, სიცოცხლის მარცვლები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ყველა ქვეყანა დაუღალავად თესავენ, მიაღწევს ადამიანთა გონებას. სიმართლე და სიცოცხლე გაიმარჯვებენ!

მეჩაიეთა თაოსნობის პასუხად

მევენახეები, მეხილეები, მეთამბაქოეები კისრულობენ

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დამთავრების აღსანიშნავად 2 ოქტომბერს იზეიმეს ჩაის პირველი დღესასწაული.

მეჩაიეთა ცხოვრებაში ამ ღირსსახსოვარ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მისალმებით მიმართეს მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს და მხურვალედ მიულოცეს პირველი დღესასწაული, ახალი შრომითი გამარჯვებები უსურვეს მათ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

„**ეჭვი არ არის,** — აგრეთვე აღნიშნული იყო მისალმებაში, — **რომ საქართველოს მეჩაიეთა ამ პატრიოტულ მაგალითს მიბაძავენ ჩვენი მევენახეები, მეხილეები, მეთამბაქოეები და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა მშრომელები**“...

მართლაც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნულ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც დამატებით კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს და პირობას დებენ მხარი გაუსწორონ ჩვენს საამაყო მეჩაიეებს, მათებრ სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამასთან დაკავშირებით ადგილებიდან მიღებული მასალების ნაწილს.

ხილის უხვი მოსავალია წელს ასპინძის რაიონში. აქაური მეხილეები ყოველდღიურად დიდი რაოდენობით აბარებენ სასაქონლო ხილს სახელმწიფოს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოფელ ასპინძის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავს ჟუჟუნა კურცხალიას, რომელიც ხილის კრეფის დღიურ დავალებას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

არ ჩამოვრჩებით მეჩაიეებს — ამბობენ მევენახეები

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებაში გამოთქმული აზრი, რომ მეჩაიეთა პატრიოტულ მაგალითს მიბაძავენ მევენახეები და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მშრომელები, რაიონის მევენახეებმა მიიღეს როგორც პარტიის საბრძოლო მოწოდება. ახლა რაიონში რთველია გაჩაღებული. გეგმით 15.000 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, რაიონის მევენახეებმა კი ვალდებულება იკისრეს არ ჩამორჩნენ ზუგდიდელ მეჩაიეებს, რომლებსაც ეჯიბრებიან, და სამშობლოს მისცენ 20.000 ტონა ხარისხოვანი ყურძენი.

— 200 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი გვაქვს, — განაცხადა აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ თავმჯდომარემ ა. ქევხიშვილმა, — კარგი მოვლის შედეგად ყურძნის მოსავალი უხვია. ჩვენი არტელის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა მიმდინარე წელს სამშობლოს მისცენ შარშანდელზე ბევრად მეტი ყურძენი. თუ გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა 900 ტონა, ვალდებულება ავიღეთ მივყიდოთ 1.200 ტონა ხარისხოვანი ყურძენი. დღეისათვის ღვინის ქარხანაში გადასამუშავებლად უკვე მიტანილი გვაქვს 500 ტონამდე ყურძენი. აღსანიშნავია, რომ ყურძნის შაქრიანობა 20-23 პროცენტს აღწევს. ჩვენი ყურძნის მკრეფავები დარო ომიაძე, მარიამ კირვალიძე და სხვები ყოველდღიურად 400-500 კილოგრამ ყურძენს კრეფენ.

სანიორელმა კოლმეურნეებმა ვალდებულებით ნაკისრი 530 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 560 ტონა ყურძენი. ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

წარმატებით მიმდინარეობს რთველი რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავში“, კურდღელაურის, შალაურის, ქვემო ხოდაშენის და სხვა კოლმეურნეობებში.

თელაველი მევენახეები მოუწოდებენ რესპუბლიკის ყველა რაიონის მევენახეებს მიბაძონ მათს მაგალითს, დარაზმონ მთელი ძალები, რათა მეჩაიეთა მაგალითისამებრ სასახელოდ შეასრულონ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულებანი.

აღსანიშნავია ამ საქმეში მოწინავე კოლმეურნეთა პატრიოტული პირადი მაგალითი. ქვემოხოდაშნელმა კოლმეურნემ სოლომონ ხალიჩაშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოკრეფილი ყურძნის მთელი სასაქონლო ნაწილი 1.940 კილოგრამის რაოდენობით. ამავე არტელის წევრმა გიორგი ბატიაშვილმა მიჰყიდა 2.500 კილოგრამი, ხოლო აკურელმა კოლმეურნემ ა. ქევხიშვილმა — 3.000 კილოგრამი.

რაიონში დღეისათვის უკვე დამზადებულია 8.000 ტონა ყურძენი. თელაველი მევენახეები თავდადებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების ღირსეულად შესრულებისათვის.

სიტყვას არ გატეხენ

ქარელი. (ტელეფონით). ჩვენი რაიონის მეხილეები, — გვაცნობა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ეცადაშვილმა, — ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა პარტიისა და მთავრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულება ღირსეულად შეასრულონ და სამშობლოს მისცენ 7.750 ტონა ხარისხოვანი ხილი. დღეისათვის სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 4.770 ტონა თესლოვანი და კურკოვანი მაღალხარისხოვანი ხილი. ასობით ტონა საუკეთესო ვაშლი გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა სამრეწველო ქალაქებში.

ქარელელ მეხილეებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მეჩაიეებსავით პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულება. ხილის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა წარმატებით გრძელდება. ჩვენი მეხილეები იბრძვიან, რათა საშვიდნოემბროდ შეასრულონ საქვეყნოდ დათქმული პირობა.

ხილის კრეფისა და ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის ამ დღეებში კარგად შრომობენ მოხისის სტალინის სახელობის, ბრეთის, ბრძისის და სხვა კოლმეურნეობები. მოხისის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 130 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 100 ტონისა. 40 ტონით გადააჭარბა ნაკისრ ვალდებულებას ბრძისის კოლმეურნეობამაც.

ასეთია მეთამბაქოეთა გადაწყვეტილება

სოხუმი. („კომუნისტის“ კორ.). სოხუმის რაიონი საქართველოს სუბტროპიკული რაიონების რიცხვს ეკუთვნის. სხვა კულტურებთან ერთად აქ კარგად ხარობს თამბაქო და უხვ მოსავალსაც იძლევა. რაიონული აქტივისა თუ მოწინავეთა კრებებზე მეჩაიეები ხშირად ეუბნებიან ხოლმე მეთამბაქოეებს:

— იცოდეთ, არ შეგვარცხვინოთ, საქვეყნოდ თავი არ მოგვჭრათ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

სამაგიეროდ არც მეთამბაქოეები რჩებიან ვალში. ისინი თავის მხრივ ეუბნებიან მეჩაიეებს — გვიჩვენეთ მაგალითი და არც ჩვენ შევირცხვენთ პირსო.

აი შემოდგომაც დადგა. მეჩაიეებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. ხოლო თუ როგორ შედეგებს აღწევენ სოხუმის რაიონის მეთამბაქოეები, ამის შესახებ პარტიის სოხუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ჭაჭიამ გვიამბო:

— მიმდინარე წლისათვის ჩვენმა მეთამბაქოეებმა იკისრეს მოიყვანონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.600 ტონა თამბაქოს ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.480 ტონისა. აღნიშნული ვალდებულების განაღდებისათვის თავდადებით შრომობენ რაიონის კოლმეურნეები.

დღეისათვის უკვე აღებული და ანემსილია 34 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო, რაც გეგმის 90 პროცენტს აღემატება. ამ მიმართულებით მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ამასთან ერთად კოლმეურნეები აძლიერებენ სახელმწიფოსათვის ახალი მოსავლის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვას. რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმების პასუხად ჩვენმა მეთამბაქოეებმა მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება: თამბაქოს მოსავლის აღების მიმდინარე წლის გეგმა 10 ოქტომბრისათვის შეასრულონ და სამშობლოს მისცენ ასობით ტონა ზეგეგმითი არომატული ქართული თამბაქოს ნედლეული.

თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეებმა, რომლებმაც უკვე ანემსეს 1 მილიონზე მეტი ზონარმეტრი თამბაქო. სასახელო წარმატებები აქვთ აგრეთვე სოფელ დრანდის, გულრიფშის, განახლების და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა მეთამბაქოეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სერგო ორჯონიკიძის მებრძოლი მეგობარი, მეუღლე და თანამოსაგრე ზინაიდა გაბრიელის ასული ორჯონიკიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის ოჯახს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ სამძიმარს გიცხადებთ სერგო ორჯონიკიძის შესანიშნავი მეგობრისა და თანამებრძოლის ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო.

მრავალი წლის მანძილზე ზ. გ. ორჯონიკიძე არ იშურებდა ენერგიას, სიცოცხლეს და კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის მხარდამხარ უსაზღვრო ერთგულებით ემსახურებოდა პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოს მშრომელთა გულში მარად დარჩება შესანიშნავი მეგობრისა და ამხანაგის ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის ნათელი სახე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის ოჯახს

მიიღეთ პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის დიდი სამძიმარი სერგო ორჯონიკიძის ერთგული მეგობრისა და მეუღლის ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო.

ზინაიდა გაბრიელის ასულმა მთელი თავისი ხანგრძლივი, უმწიკვლო სიცოცხლე მიუძღვნა ხალხის, პარტიის ინტერესებს, რისთვისაც ჩვენს მშრომელებში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

შესანიშნავი ამხანაგისა და მეგობრის — ზინაიდა გაბრიელის ასულის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ვ. მჟავანაძე

ახალი შრომითი გამარჯვება

სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური ვალდებულების შესრულება 1960 წლის 1 ოქტომბრისათვის

ხორცის სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 126 პროცენტით, წლიური ვალდებულებანი — 62 პროცენტით.

რძის სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობაში შესრულებულია 95 პროცენტით, წლიური ვალდებულებანი — 74 პროცენტით.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები ხორცისა და რძის შესყიდვის წლიური ვალდებულების შესრულების შესახებ ყველა კატეგორიის მეურნეობაში რაიონების მიხედვით.

	(პროცენტობით)		მცხეთის	57,4	73,8	ორჯონიკიძის	92,6	98,7
	ხორცი	რძე	მარნეულის	45,4	61,7	ტყიბულის	98,4	104,4
ახალქალაქის	64,2	75,8	ბოლნისის	57,2	74,8	ონის	101,7	100,3
ბოგდანოვკის	68,1	76,5	წალკის	47,1	75,3	ამბროლაურის	92,2	86,2
ახალციხის	80,4	85,3	დუშეთის	56,7	67,3	ცაგერის	74,8	75,6
ადიგენის	85,3	95,3	თეთრი წყაროს	54,7	82,0	ლენტეხის	138,3	105,0
ასპინძის	97,4	88,9	დმანისის	50,1	73,1	აბაშის	52,9	71,7
ხაშურის	80,2	81,4	თიანეთის	63,3	87,9	ცხაკაიას	60,0	70,1
ქარელის	75,1	73,8	ყაზბეგის	74,6	88,0	გეგეჭკორის	100,0	81,9
გორის	57,7	66,5	სამხრეთ ოსეთის			ზუგდიდის	73,9	63,9
კასპის	59.8	81,5	ავტონომიური ოლქი	65,3	72,5	ხობის	77,4	84,2
ბორჯომის	78,9	89,9	წყალტუბოს	80,8	81,6	წალენჯიხის	76,2	82,5
საგარეჯოს	58,6	65,0	სამტრედიის	74,7	84,1	ჩხოროწყუს	94,2	92,4
გურჯაანის	44,5	73,5	წულუკიძის	72,9	68,6	მახარაძის	91,7	103,0
სიღნაღის	50,8	60,8	ვანის	83,4	79,4	ლანჩხუთის	101,4	100,5
წითელწყაროს	47,2	70,1	მაიაკოვსკის	79,7	82,0	ჩოხატაურის	100,3	100,7
თელავის	51,6	71,7	ზესტაფონის	88,7	80,5	მესტიის	276,0	147,1
ახმეტის	57,7	74,9	თერჯოლის	99,6	81,1	ქალაქი ფოთი	56,6	85,3
ყვარლის	54,7	64,8	ქალაქი ჭიათურა	102,7	87,6	აფხაზეთის ასსრ	71,4	48,8
ლაგოდეხის	73,9	78,4	საჩხერის	102,7	101,4	აჭარის ასსრ	66,5	78,8
ქალაქი თბილისი-სამგორის	44,8	75,0						

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
სტატისტიკური სამმართველო

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის ორმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის ოფიცერთა კადრების მომზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებელი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
მოადგილე რ. კომახიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1960 წ. 30 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის სამხედრო მოსამსახურეების, მუშებისა და მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის ორმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის ოფიცერთა კადრების მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლებისა და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ართამონოვი** ალექსანდრე არტემის-ძე — პოლკოვნიკი
2. **ბაშლიაევი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — პოლკოვნიკი
3. **ბელი** მიხეილ მოსეს-ძე — პოდპოლკოვნიკი
4. **ბერიძე** ალექსანდრე მიხეილის-ძე — პოდპოლკოვნიკი
5. **ბრუიაკო** მიხეილ ექვთიმეს-ძე — კაპიტანი
6. **დულგაროვი** სტეფანე მისაკის-ძე — ზევადიანი სამსახურის ზემდეგი
7. **ელბაქიძე** მიხეილ შიოს-ძე — მუშა
8. **ვერცინსკი** პეტრე ცელესტინის-ძე — პოდპოლკოვნიკი
9. **ივაშინი** ივანე დოროთეს-ძე — პოდპოლკოვნიკი
10. **მელიქოვი** ფიკრეტ ალი-ოღლი — კაპიტანი
11. **მუშკინი** სამუელ გრიგოლის-ძე — პოდპოლკოვნიკი
12. **პეტრენკო** ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე — პოდპოლკოვნიკი
13. **სარქისოვი** ალექსანდრე ანდრიას-ძე — პოლკოვნიკი
14. **შარაძენიძე** კლიმენტი მიხეილის-ძე — დოცენტი
15. **ხუბულური** ვლადიმერ დავითის-ძე — გენერალ-მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოადგილე რ. კომახიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1960 წ. 30 სექტემბერი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური ასამბლეის XV სესია

გენერალური ასამბლეის 5 ოქტომბრის პლენარულ სხდომებზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია და დაიწყო განხილვა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისა და ავსტრალიის „შესწორებისა“.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ:

აჰმედ ჰეირი — სუდანი, მენზისი — ავსტრალია, მაჰმუდ ფავზი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ნკრუმა — განა, სახა — ნეპალი, ჯავაჰარლალ ნერუ — ინდოეთი, ფედერიკო ალვარეს პლატა — ბოლივია, დელგადო — ფილიპინები, კ. ტ. მაზუროვი — ბელორუსიის სსრ, სუბანდრიო — ინდონეზია, სონ სანი — კამბოჯა, ჰერტერი — აშშ.

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ ჰეირი.

აჰმედ ჰეირმა განაცხადა, რომ XV სესია დიდმნიშვნელოვანი მიჯნა იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მიღება, რომლებიც აფრიკაში განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად წარმოიშვნენ, თქვა მან, მართლაც ისტორიული მოვლენაა. აფრიკა აღარ არის ბნელი კონტინენტი. ჰეირმა რწმენა გამოთქვა, რომ შუქი, რომელიც აფრიკის მეტ ნაწილში აინთო, ხელოვნურ საზღვრებს არ შეხვდება და რომ ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის ხელს მის გავრცელებას.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ გამალებული შეიარაღების საფრთხე მეტად თვალსაჩინოა. მან იმედი გამოთქვა, რომ მიღებულ იქნება ღონისძიებანი, რათა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, რაც შეიძლება მალე განახლდეს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის კონსტრუქციული გადაწყვეტის მიზნით ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

სუდანის დელეგატმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ, და განაცხადა, რომ ეს გააძლიერებს ორგანიზაციის ეფექტიანობას. შეეხო რა კონგოში შექმნილ მდგომარეობას, ჰეირმა აღნიშნა აგრეთვე, რომ კონგოს მთავრობის საკითხი თვით კონგოელმა ხალხმა უნდა გადაჭრას.

ილაპარაკა რა ალჟირში არსებულ მდგომარეობაზე, სუდანის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ ალჟირელი ხალხი, რომელიც ასე დიდხანს და მამაცურად იბრძვის თავისი სამართლიანი საქმისათვის, იარაღს არ დაყრის საფრანგეთის ჯავშნის წინაშე, იმიტომ რომ მის მხარეზეა სიმართლე, ხოლო სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს. საფრანგეთის მთავრობის მტკიცება, ალჟირი საფრანგეთის ნაწილიაო, ფარსია. ალჟირის საკითხი უნდა გადაწყდეს ალჟირელი ხალხის რეფერენდუმის გზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრი მტკიცედ მოითხოვდა პალესტინიდან არაბ ლტოლვილთა საკითხის სამართლიან გადაჭრას, აღნიშნა რა, რომ მდგომარეობა ომანში საერთაშორისო დაძაბულობის წყაროა, ჰეირმა მოითხოვა, რომ პატივი სცენ ომანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ სუდანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგარეო ვაჭრობას, ჰეირმა გაილაშქრა სავაჭრო ბლოკებისა და დაჯგუფებათა წინააღმდეგ, როგორიც არის „ევროპის საერთო ბაზარი“ და „თავისუფალი ვაჭრობის ზონა“, დასასრულ სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია ხალხთა მოლოდინს გაამართლებს.

სუდანის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო განხილვა დილის სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პუნქტისა — განის, ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტის და ამ რეზოლუციისათვის ავსტრალიის დელეგაციის შესწორებისა. ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეტანილია რამდენიმე დღის წინათ, შეიცავს თხოვნას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი განაახლონ წინათ შეწყვეტილი კონტაქტები მოლაპარაკების გზით ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით. ავსტრალიის ეგრეთწოდებული შესწორება მოითხოვს „რაც შეიძლება მალე“ განახლდეს ოთხი სახელმწიფოს თათბირი უმაღლეს დონეზე. ამასთან ერთად იგი არის შენიღბული ცდა უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაშლის ბრალი დასდოს საბჭოთა კავშირს, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ განაცხადა მზადყოფნა მოლაპარაკების განახლებისათვის.

ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მენზისი, რომელიც ამტკიცებდა, რომ უმაღლეს დონეზე თათბირი პარიზში იმიტომ არ დაიწყო, რომ საბჭოთა კავშირმა „არ ისურვა“ მონაწილეობა მიეღო ამ თათბირში. მენზისი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა და განსაკუთრებით შეერთებული შტატების ცნობილი როლი უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლაში. გაილაშქრა რა ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, მენზისმა განაცხადა, რომ მის მიღებას შეუძლია შექმნას შთაბეჭდილება, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო ერთადერთი ლოდი შებრკოლებისა“.

მაჰმუდ ფავზიმ, ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ერთ-ერთი ავტორი სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიტანა ამ პროექტის მცირე შესწორება, რომლითაც წინადადებას იძლევა დაფორმულება „ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს“ შეიცვალოს სიტყვებით „იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“ განაახლებენ თავიანთ კონტაქტებს.

განის პრეზიდენტმა ნკრუმამ, რომელმაც მხარი დაუჭირა ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციას, მტკიცედ გაილაშქრა ავსტრალიის შესწორების წინააღმდეგ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფაქტიურად ავსტრალიის შესწორება არის დამოუკიდებელი რეზოლუცია, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის სულისკვეთებას, ამიტომ, განაცხადა ნკრუმამ, ჩვენ მოვუწოდებთ ავსტრალიას მოხსნას თავისი შესწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნა მან, ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის ავტორები და ისინი, ვინც მათ მხარს უჭერს, ხმას მისცემენ ავსტრალიის შესწორების წინააღმდეგ.

ნეპალის წარმომადგენელმა სახამ აგრეთვე გაილაშქრა ავსტრალიის წინადადების წინააღმდეგ. ეს ეგრეთწოდებული შესწორება, თქვა მან, გამსჭვალულია ცივი ომის სულისკვეთებით და სურვილით შეფასება მისცეს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლის მხოლოდ ერთ მხარეს.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ ავსტრალიის შესწორებას ცივი ომის სულისკვეთება ახასიათებს; მას ვერ მოჰყვება დადებითი გადაწყვეტილების მიღწევა.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა.

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). 15 საათსა და 25 წუთზე ნიუ-იორკის დროით (22 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით) დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის სხდომა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. ბოლივიის დელეგაციის მეთაურმა ფედერიკო ალვარეს პლატამ განაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ეკონომიური განვითარების უზრუნველყოფის პრობლემებს. ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის დახმარების პრობლემა, თქვა მან, დასმულია დიდი ხნის წინათ, მაგრამ დღემდე გადაჭრილი არ არის.

ილაპარაკა რა თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, ბოლივიის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ ბოლივიის მთავრობა სიმპათიით ეპყრობა ხალხთა ბრძოლას თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ისინი, ვინც ლაპარაკობს კოლონიური ხალხების უმწიფრობაზე, მათს უუნარობაზე თავიანთ ხელში აიღონ ძალაუფლება, თქვა მან, შეურაცხყოფენ ამ ხალხებს. დასასრულ ალვარეს პლატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი კაცობრიობისათვის მეტად საჭიროა განიარაღების განხორციელება.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მენზისმა იკისრა იმპერიალიზმის იდეალების აშკარად დაცვის ბინძური ამოცანა. იგი კოლონიურ ხალხებს მოუწოდებდა „გულში ამოიკვეთონ გაავთრება“ და დაივიწყონ იმპერიალიზმი. შეეხო რა ავსტრალიის კოლონიურ სამფლობელოებს ახალ გვინეასა და პაპუაში, მენზისმა განაცხადა, რომ მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება „დანაშაულებრივი აქტი“ იქნებოდა.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოთქვა შეშფოთება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობის გამო. მან განაცხადა, რომ ცივი ომი ძლიერდება და რომ დელეგატთა უმრავლესობა სესიაზე ჩამოვიდა იმის იმედით, რომ დაძაბულობა შეიძლება შენელდეს. მაგრამ, უხეშად დაამახინჯა რა საქმის ნამდვილი მდგომარეობა, მან წამოაყენა საშინელი ბრალდება საბჭოთა კავშირის მიმართ და განაცხადა, თითქოს სწორედ მას აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა ცივი ომისათვის და რომ თითქოს საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა „დაიწყო ცივი ომის გაღვივება და დაძაბულობის გამწვავება“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოღვაწეობა, რომელიც ერთგულად ემსახურება რეაქციისა და კოლონიალიზმის ინტერესებს, მან დაახასიათა როგორც თვალსაჩინო მოღვაწეობა, რომელიც ავსტრალიის სრული ნდობით სარგებლობს.

მენზისმა გაილაშქრა საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გენერალური მდივნის პოსტის კოლექტიური ორგანოთი შეცვლის შესახებ.

მენზისი სიტყვით კვლავ მხარს უჭერდა სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ამას თითქოს ხელს უშლიან კომუნისტური ქვეყნები. მაგალითად, იგი არ მოერიდა იმის განცხადებას, რომ აგრესიის უშუალო საფრთხე წყნარი ოკეანის რაიონში „მომდინარეობს კომუნისტური ჩინეთიდან“. დასასრულ მენზისი შეეხო განიარაღების პრობლემას. მან განაცხადა, რომ ინსპექცია და განიარაღება განუყოფელია და რომ ატომგულის იარაღისა და ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხი ერთად უნდა გადაწყდეს. ამასთან ერთად, აშკარად ისწრაფვოდა რა როგორმე დაესაბუთებინა დასავლეთის სახელმწიფოთა უარი სერიოზულად, საქმიანად გადაჭრან განიარაღების პრობლემა, იგი ამტკიცებდა, რომ შეიარაღება არ არის საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზი.

ფილიპინების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დელგადო გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკის აშკარა აპოლოგეტად. მან, კერძოდ, გაამართლა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების არსებობა ფილიპინების ტერიტორიაზე და ამ ქვეყნის მონაწილეობა სეატოში. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით გავთავისუფლებულიყავით ამერიკის ბაზებისაგან, რამდენადაც ისინი დიდ უხერხულობას გვაყენებენ, ლაყბობდა ფილიპინების დელეგატი, მაგრამ ამას ვერ ვიზამთ, რადგან საფრთხეს შევუქმნიდით ჩვენს უშიშროებას. ჩვენ ამ ბაზებს ვიღებთ როგორც გარდუვალ რამეს.

უსაყვედურა რა ნეიტრალურ ქვეყნებს, ფილიპინების წარმომადგენელი იცავდა სამხედრო კავშირებისა და „ძალთა წონასწორობის“ პოლიტიკის განგრძობას. დელგადომ თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი მიუძღვნა ფილიპინებზე ამერიკის შეერთებული შტატების „ცივილიზატორული როლის“ შექებას.

დღის პლენარულ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ტ. მაზუროვი. მისი გამოსვლის მომენტისათვის სხდომაზე მოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. საერთო დისკუსიის მსვლელობა, განაცხადა კ. ტ. მაზუროვმა, ცხადყოფს, რომ ბევრი სახელმწიფოს დელეგაციები აქ ჩამოვიდნენ გულწრფელი სურვილით აქტიურად შეუწყონ ხელი კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა მიღწევას განიარაღების საკითხებსა და სხვა პრობლემებზე, რომლებიც დასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ტრიბუნიდან ლაპარაკობდნენ, მივყავართ უნაყოფო კამათის უღრან ტყეში. ამასობაში კი მათი მთავრობები ახორციელებენ ცივი ომის წინანდელ პოლიტიკას. ხალხები დიდი იმედით შესცქეროდნენ 1960 წელს, მოელოდნენ, რომ იგი აღინიშნებოდა ისეთი საერთაშორისო გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებიც ცას გაწმენდნენ ქარიშხლის ღრუბლებისაგან. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა, თქვა კ. ტ. მაზუროვმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ეს იმედი გათელეს. მან ასამბლეის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ახლანდელ პირობებში მან უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც გზას გაუკაფავდნენ რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელებას საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

ბელორუსიის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ საკითხს — საყოველთაო და სრულ განიარაღებას. მშვიდობა, თქვა მან, ესაჭიროება ყველა ხალხს. მშვიდობის დაფასება არ შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც არ გამოუცდია ომის საშინელება ან თავისი დანაშაულებრივი მიზნებით უგულებელყოფს ხალხთა ინტერესებს. ბელორუსმა ხალხმა, განაცხადა კ. ტ. მაზუროვმა, კარგად იცის, თუ რა უბედურება მოაქვს ომს. მან მოიყვანა ზოგიერთი ციფრი, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ბელორუსიის რესპუბლიკას ჰიტლერულმა აგრესიამ. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა მოაქვს ომს ხალხებისათვის, კარგად გაგვიგებენ პოლონელები და ჩეხები, ფრანგები და ინგლისელები, სხვა ქვეყნების ხალხები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ომის საშინელება.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ბელორუსი ხალხი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების ხალხები, თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ მშვიდობიანი მშენებლობისათვის, კ. ტ. მაზუროვმა მოიყვანა დამაჯერებელი ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ ბელორუსიის მიღწევებს. 1960 წელს ბელორუსიაში წარმოებულ იქნება 35-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1913 წელს, და თითქმის 4,5-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდელ, 1940 წელს. ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის მხრივ ბელორუსიამ უკან მოიტოვა ევროპისა და ამერიკის ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა. მაგალითად, ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ბელორუსია აწარმოებს მეტ ლითონსაჭრელ ჩარხს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია. ჩვენი ხალხი, განაგრძო კ. ტ. მაზუროვმა, გრძნობს თავისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შედეგებს კეთილდღეობის სწრაფი ზრდით, თავის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებით.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რეაქციული გავლენიანი ძალები დასავლეთის ქვეყნებში ესწრაფვიან გაამწვავონ საერთაშორისო ურთიერთობა, ახორციელებენ ცივი ომის პოლიტიკას. ზოგი ვინმე, განაცხადა მან, გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა არა კეთილი განზრახვით, როგორც ეს ჩანს ზოგიერთი გამოსვლისა და წინადადების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ბელორუსიის დელეგატმა საკადრისი პასუხი გასცა კანადის პრემიერ-მინისტრს, რომელიც უხეშად სწამებდა ცილს საბჭოთა კავშირს. მხოლოდ მშვიდობის მტრები, კაპიტალისტური მონოპოლიების წარმომადგენლები, თქვა მან, აძლევენ თავისთავს ნებას ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, რადგან ეს არის ცივი ომის გაღვივების ერთ-ერთი მათი მეთოდი.

ბელორუსიის სსრ, განაცხადა შემდეგ კ. ტ. მაზუროვმა, დიდად დაინტერესებულია ყველა იმ პრობლემის დაუყოვნებლივი გადაჭრით, რომლებიც წარმოშობენ დაძაბულობას ევროპის ქვეყნების ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით შეეხება გერმანიასთან საზავო მოწესრიგების პრობლემას. აღნიშნა რა დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საფრთხე, ბელორუსიის წარმომადგენელმა ილაპარაკა გენერალური ასამბლეის სესიაზე პრემიერ-მინისტრ მაკმილანის გამოსვლაზე. უცნაურია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ვნახოთ, სთქვა მან, დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების დამცველის როლში. დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმისა და რევანშიზმისათვის წაყრუების პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ყველა ხალხის, მათ შორის ინგლისელი ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას. ეს საშიში პოლიტიკაა. კ. ტ. მაზუროვმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ფაშიზმის აღორძინებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მან, კერძოდ, თქვა, რომ ბელორუსიას კარგად ახსოვს სამხედრო დამნაშავის ჰოიზინგერის სახელი, რომელსაც ამჟამად უკავია ბუნდესვერის სარდლის პოსტი და რომელიც ცნობილია თავისი საშინელი ბოროტმოქმედებებით ომის დროს. შესაძლებელია, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, განაცხადა კ. ტ. მაზუროვმა, თავს იტყუებენ იმედით, რომ გერმანიის მილიტარიზმის სამხედრო მანქანა კვლავ მიმართონ აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ აღმოსავლეთის გზა აგრესორებისათვის ერთხელ და სამუდამოდ დახურულია. სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანელ მილიტარისტებსა და მათს სამხედრო მოკავშირეებს.

ბელორუსიის დელეგაციის მეთაურმა ამხილა და მკვეთრად გააკრიტიკა შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მას, ვინც იჩენს ზრუნვას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბედისათვის, აღნიშნა მან, არ შეუძლია არ დაგმოს აგრესიის აქტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კ. ტ. მაზუროვმა აღნიშნა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება, როგორც საბჭოთა კავშირი მოითხოვს, შეამსუბუქებს გადასახადთა მძიმე ტვირთს, რომლებიც ეკისრება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების უსაზღვრო პერსპექტივებს შექმნის. დამაჯერებელი მაგალითებით მან ცხადყო, რომ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ჩაშლის ნამდვილი დამნაშავენი არიან შეერთებული შტატები და მათი დასავლეთელი მოკავშირეები, თუმცა ისინი ცდილობენ თავიანთი დანაშაული სხვას გადააბრალონ, ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის ჩაშლას ბრალად სდებენ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც ამ კომიტეტში შედიან. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე ქმნიან, განაგრძო კ. ტ. მაზუროვმა, საბჭოთა კავშირი მტკიცედ იბრძვის თანამედროვეობის ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისათვის. ილაპარაკა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ გენერალური ასამბლეის XV სესიაზე განიარაღების საკითხის გამო, ბელორუსიის დელეგატმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში „საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი“, [illegible]

[illegible] მოძველდა. მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კენიის, ტანგანიკის, როდეზიის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის, ანგოლის, მოზამბიკის, რუანდა-ურუნდის ხალხები აფრიკაში, გოას, დასავლეთ ირიანისა — აზიაში, გვიანისა — ამერიკაში დღემდე გმინავენ კოლონიურ მონობაში, მოკლებული არიან ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. ალჟირში შექმნილი მდგომარეობისა და კონგოს ამბების მაგალითით კ. ტ. მაზუროვმა ცხადყო, რომ კოლონიალიზმი ცოცხლობს და რომ იგი გაძლიერებით ეგუება ახალ პირობებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თქვა შემდეგ კ. ტ. მაზუროვმა, მოვალეა მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი კონგოს რესპუბლიკაში ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად.

კ. ტ. მაზუროვმა განაცხადა, რომ ბელორუსიის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შემოიტანა საბჭოთა დელეგაციამ. გენერალური ასამბლეის მოვალეობა, თქვა მან, ის არის, რომ [illegible]

[illegible]

[illegible] საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ [illegible] მოუწოდა გენერალურ ასამბლეას [illegible] ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი [illegible] ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის [illegible] ავსტრალიის შესწორება, თქვა მან, არარეალისტურია. ამავე დროს იგი მიზნად ისახავს ჩაშალოს ხუთი ქვეყნის პროექტი.

[illegible] ავსტრალიის შესწორებას. იგი ითვალისწინებს, რომ ხუთი ქვეყნის მოწოდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი — განაახლონ [illegible], — შეიცვალოს წინადადებით „რაც შეიძლება მალე“ მოიწვიონ ოთხი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირი. [illegible] პარიზის თათბირის ჩაშლა გადააბრალოს საბჭოთა კავშირს.

ავსტრალიის შესწორებას ხმა მისცა ხუთმა დელეგაციამ (ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა), წინააღმდეგ ხმა მისცა — 45 დელეგაციამ [illegible]

[illegible]

ალდგეს ჩინეთის კანონიერი უფლება

გაერთიანებულ ერების ორგანიზაცია მშვიდობისა და სამართლიანობის ორგანო უნდა გახდეს

მსოფლიოს [illegible]

პოლონეთის [illegible]

[illegible] რი საქმიანობა შეუძლებელია სახალხო ჩინეთის მონაწილეობის მიუღებლად“.

შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღ- [illegible]

[illegible]

NEW YORK TRADE UNIONISTS
GREETS KHRUSHCHEV VISIT
NEW YORK TRADE UNIONISTS For PEACEFUL
DISARMAMENT

ნიუ-იორკში საბჭოთა წარმომადგენლობის შენობის ახლოს, რომელიც ამჟამად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციას წარმოადგენს, ნიუ-იორკის მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრაციის დასასრულს მისი მონაწილეები მივიდნენ საბჭოთა წარმომადგენლობაში და ნ. ს. ხრუშჩოვისათვის ცოცხალი ყვავილების თაიგულები გადასცეს. მათ აგრეთვე გადასცეს წერილი მშვიდობისათვის ბრძოლის ნიუ-იორკის პროფკავშირული საბჭოსაგან. სურათზე- დემონსტრაციის მონაწილეთა ჯგუფი.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

(სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდისტებმა „იარაღი" აისხეს

პარტიული განათლების კაბინეტი... ამ დღეებში აქ დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება მუშაობა. პროპაგანდისტთა ერთი ჯგუფი მთავარ დარბაზში დიაგრამებს ათვალიერებს. ისინი აკეთებენ ჩანაწერებს, თუ რას მიაღწია ჩვენმა დიდმა სამშობლომ 1953 წლიდან დღემდე. „შვიდწლიანი გეგმა კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამაა". ამ სტენდს პროპაგანდისტთა მეორე ჯგუფი ჩაჰკირკიტებს. საინტერესო ცნობებს იწერენ პროპაგანდისტები გამოფენიდან „თელავის რაიონი წინათ, ახლა და შვიდწლედის ბოლოს".

თელავის რაიონში წელს 94 სემინარმა, პოლიტსკოლამ და წრემ დაიწყო მუშაობა. პროპაგანდისტებად შერჩეული არიან მცოდნე და გამოცდილი ამხანაგები. თვითეულ მათგანს საკუთარ ბიბლიოთეკაში დიდძალი ლიტერატურა გააჩნია, მაგრამ მას მაინც საკმარისად არ თვლიან თემების საფუძვლიანად მომზადებისათვის. პარტიული განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკის თაროებზე ათასობით წიგნი და ბროშურა აწყვია. საკმარისია ვინმემ ესა თუ ის თემა დაასახელოს, რომ ბიბლიოთეკარი მერი ტუსიშვილი წამსვე მოუძებნის საჭირო ლიტერატურას. ამ დღეებში ბიბლიოთეკიდან პროპაგანდისტებმა ხუთასზე მეტი წიგნი და ბროშურა წაიღეს.

წინანდლის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საფუძვლების დაწყებითი ეკონომიური წრის პროპაგანდისტად ზოოტექნიკოსი ტ. ძამუკაშვილი დაამტკიცეს. „ისწავლე მეურნეობის გაძღოლა" — აი თემა, რომელზეც მან უნდა ჩაატაროს მორიგი საუბარი. თემის სრულყოფილად მომზადების მიზნით ძამუკაშვილმა პარტიული განათლების კაბინეტის დახმარებით დიდძალი ლიტერატურა, დიაგრამა, ციფრი შეაგროვა.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორს ამხანაგ შ. ყარაულაშვილს პროპაგანდისტად მუშაობის ხუთმეტი წლის გამოცდილება აქვს. იგი ამჟამად მრეწველობის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარს ხელმძღვანელობს. მან საგულდაგულოდ მოამზადა თემა „სოციალისტური მრეწველობა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანები". ამ თემისათვის პროპაგანდისტმა მოიმარაგა პარტიული განათლების კაბინეტიდან მიღებული ლიტერატურა: ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ზ. ატლასის ნაშრომი „შვიდწლედის ძირითადი პრობლემები და სოციალისტური წარმოების რენტაბელობა", ა. ალექსეევის — „საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულების გადამწყვეტი ეტაპი" და სხვ.

ყარაულაშვილმა ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვა თელავის რაიონის მრეწველობის პერსპექტივებზე.

ლიტერატურით უზრუნველყოფილი არიან და თემები პირველი საუბრებისათვის სრულყოფილად მოამზადეს აგრეთვე პროპაგანდისტებმა გ. ცხადაძემ, ა. უთიაშვილმა, ა. გოგიძემ, ა. მარგალიტოვმა და სხვებმა.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბუნების, მშვენიერების მომღერალი

ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენის გამო



პეიზაჟი ქართულ მხატვრობაში არც თუ ისე ახალი ჟანრია. ძველ ფრესკებსა და მინიატურებში, ისევე როგორც ჭედურ ხელოვნებასა და ნაქარგობაშიც, იგი პირობითი, განყენებული სახით გვხვდება, როგორც ამა თუ იმ სცენისა და სიუჟეტის ერთგვარი დამხმარე ატრიბუტი. თითქმის ასეთივე როლი ენიჭება პეიზაჟს XVIII-XIX საუკუნის ქართულ ფერწერაში, სადაც საქართველოს ბუნების, ესა თუ ის კუთხე ან ადგილი ზოგიერთ ადრინდელ პორტრეტს დამხმარე, მაგრამ რეალურ სივრცესა თუ ფონს უქმნის.

ქართულმა პეიზაჟმა მხატვრობაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან მიიღო. მაგრამ ხატვის ისეთმა დიდმა ოსტატმაც კი, როგორიც გიგო გაბაშვილია, ვერ დაიმსახურა ქართული პეიზაჟის დიდოსტატის სახელი, ხოლო ცნობილი პეიზაჟისტი მხატვარი ალექსანდრე ციმაკურიძე თავის შემოქმედებაში შედარებით ვიწრო შემოფარგლა, მთავარ თემად მზე, მის ნათელ სხივთა გათამაშება აირჩია.

ქართული პეიზაჟის მამამთავრებად უწინარეს ყოვლისა მიგვაჩნია შესანიშნავი კოლორისტი, უშუალობით სავსე ნიკო ფიროსმანაშვილი, იმერეთის ხალიჩებად დაფენილი მთა-გორების ამსახველი დავით კაკაბაძე და საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი, რომლის შემოქმედებაც ამჟამად საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში ვრცელი, საინტერესო გამოფენის სახით არის წარმოდგენილი.

ხატვა ელენე ახვლედიანისათვის ადრიდანვე პირველ მოთხოვნილებად იქცა. გიმნაზიაში ნ. სკლიფასოვსკისთან, აკადემიის კლასებში—გიგო გაბაშვილთან სწავლამ ეს გრძნობა უფრო ღრმა გახადა, უფრო მიზანდასახული და შინაარსიანი.

მხატვარი ქალის პირველი გამოცდა და გამარჯვება 1919 წელს მიეკუთვნება, როდესაც მან, მოსე თოიძის, სიდამონ-ერისთავის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და სხვათა გვერდით, პირველად მიიღო მონაწილეობა ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაში.

1921-22 წლებში ელ. ახვლედიანს სტიპენდიატად გზავნიან იტალიასა და საფრანგეთში, სადაც იგი ახალგაზრდული გატაცებით ებმება იმდროინდელ მხატვრულ ცხოვრებაში. სხვადასხვა მიმდინარეობათა ცენტრში მოხვედრილი ელენე ახვლედიანი პარიზში კოლაროსის აკადემიაში სწავლობს და თუმცა მისთვის უცხო არ რჩება ფერწერის ახალი გზები და „დამოუკიდებელთა" გამოფენების მონაწილეც არის, იგი შორსა დგას უსაგნო ხელოვნებისაგან და იმთავითვე ევროპული კულტურის რეალისტური ტრადიციებისაკენ ესწრაფვის.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ე. წ. პარიზის პერიოდს (1927 წლამდე), მისი მხატვრული ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბების ხანას. მხატვარი მსოფლიოში თავისი სილამაზითა და ძეგლებით განთქმულ ქალაქს — პარიზს უმთავრესად მუშათა უბნების სახით გვიხატავს, ვიწრო ქუჩებზე ერთმანეთთან ახლოს მიჭრილი, ბათქაშჩამოცლილკედლებიანი, ღუმელის მილებითდაგვირგვინებულ სახურავებიან სახლებით, რომელთაც ნაცრისფრად შებოლილი ცის ნაგლეჯი ანათებს. ეს პარიზი უჰაეროა, ტრაგიზმით სავსე, უღიმღამო განწყობას ქმნის და თანაგრძნობას იწვევს.

უცხოეთში ყოფნისას ელ. ახვლედიანი გამუდმებით იღებდა მონაწილეობას პარიზის მხატვრულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები ოსლოსა და ნიუ-იორკშიც წარმატებით გამოიფინენ და, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა მხატვარმა, 1927-28 წლებში თავის ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა ინდივიდუალური საანგარიშო სახის გამოფენა მოაწყო თბილისში, თელავსა და ქუთაისში. ამ გამოფენის წარმატება თუნდაც იმითაც დასაბუთდება, რომ ქუთაისში მისი დათვალიერების შედეგად ელენე ახვლედიანი თეატრში სამუშაოდ მიიწვია დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რომელთანაც იგი ამის შემდეგ წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა.

ამასვე უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეისათვის ელენე ახვლედიანმა, როგორც საქართველოს, ისე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების თეატრებში 120-მდე სპექტაკლი გააფორმა და ერთ-ერთი საუკეთესო დეკორატორი მხატვრის სახელი დაიმსახურა. მხატვარი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ინტენსიურად მუშაობს თეატრში, ბოლო წლებში კი კინოს სარბიელზეც გამოდის.



მაინც ელენე ახვლედიანი ჩვენთვის უფრო ცნობილი და ახლოა, როგორც ფერწერისა და გრაფიკის შესანიშნავი ოსტატი, საუცხოო პეიზაჟისტი და ამავე დროს მეტად მოუსვენარი შემოქმედი, რომელიც თავის ტილოებზე ერთნაირი ინტერესით და ცხოვრების უშუალო შთაბეჭდილების გადმოცემით ასახავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, სანახაობრივად მეტად განსხვავებულ მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს — თბილისს, ქუთაისს, თელავს, სიღნაღს და სხვ., საქართველოს მთებსა და ველებს, ტყეებსა თუ მდინარეებს.

ელენე ახვლედიანი თავისი ქვეყნის პატრიოტია და მისი მოსიყვარულე გულწრფელი მხატვარიც, რომლის თვალსაც არ გამოჰპარვია არც კოლმეურნეთა ცხოვრება, მათი ხვავიანი მინდვრები და არც სოციალისტური სამშობლოს დიადი მშენებლობანი, იგი ახლოს ეცნობა მუშებს, მათს საქმიანობას და ბულაჩაურის, სამგორის, რუსთავის და სხვა მშენებლობათა თემაზე ქმნის შინაარსიანი და საინტერესო კომპოზიციების შემცველი სურათების საკმაოდ ვრცელ სერიას.

წლევანდელ ნამუშევართა რიცხვიდან კოლორიტის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ „პეიზაჟი წითელი სახლით", „გომბორის უღელტეხილისაკენ", „ფასანაურის მიდამოები" და სხვ. მათ მხატვარი უმთავრესად თვალით დანახულის გაათკეცებული სიძლიერით ასრულებს. ერთმანეთთან მჭახედ დაპირისპირებულ ფერებში, სჭარბობს მწვანე, ყვითელი და მუქი იასამნის ფერი (უმთავრესად ჩრდილების ადგილზე). ნამუშევრები აქ უკვე ზედმეტი დეკორატიულობითაც გამოირჩევიან და თუ ფერთა ეს თავისებური გამახვილებული აღქმა მხატვარს ქართულ ეროვნულ ტრადიციებს ერთგვარად აშორებს, ეს შეიძლება ამ მოკლე ხნის წინ ესტონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის თავისებურ რეაქციასაც მივაწეროთ.

გვერდს ვერ ავუვლით ელენე ახვლედიანის ნატურმორტებსაც, მათ შორის ქართულ მოტივებზე აგებულ კომპოზიციებს და ნატურმორტს ავტოპორტრეტით (1925 წ.), სადაც უცხო ნივთებით გარემოცული, პარიზში მყოფი მხატვარი თავის თავს ძველი თბილისის პეიზაჟის ფონზე წარმოადგენს. აღნიშნულ ნამუშევარში პარიზის ახალი მხატვრული მიმდინარეობების ცოდნასთან ერთად მხატვარი პორტრეტისადმი მიდრეკილებასაც ამჟღავნებს. უნდა ითქვას, რომ თუმცა ელენე ახვლედიანი პორტრეტსა და ჟანრში ნაკლებად მუშაობს, მას ამ დარგშიც საკმაოდ საინტერესო ტილოები მოეპოვება. საერთოდ მხატვარი ადამიანებს ნაკლებად ხატავს, მაგრამ იქაც კი, სადაც მის პეიზაჟში ადამიანი არა ჩანს, ადამიანი და მისი ცხოვრება იგულისხმება.

ელენე ახვლედიანი დიდი დიაპაზონის მხატვარია; იგი მხატვრობის ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგით არასოდეს არ იფარგლება. ეს ჭეშმარიტად დაუღალავი შემოქმედი წიგნისა და დაზგურ გრაფიკაშიც დიდი წარმატებით მუშაობს და თავის კულტურასა და გემოვნებას მათშიც გარკვევით ავლენს. მაღალი გრაფიკული ტექნიკითა და აკადემიური ნახატის სიფაქიზით გამოირჩევიან 1959-60 წლებში შესრულებული ესტონეთისა და ჩეხოსლოვაკიის პეიზაჟების მრავალრიცხოვანი ფურცლები, რომელნიც ხასიათდებიან რთული, მოხდენილი და კინემატოგრაფიული სახის რაკურსებითა და ფერთა მეტად მომხიბვლელი შეხამებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პრაღის სახლების ერთ მთლიან სურათად აღქმული მონუმენტური „სახურავები", თემა, რომელიც გამუდმებით გვხვდება მხატვრის შემოქმედებაში, როგორც მისი ერთ-ერთი წამყვანი ძირითადი მოტივი.

სასიხარულოა, რომ ელენე ახვლედიანი უფრო მეტი და მეტი ხალისით მუშაობს. მისი შემოქმედებითი ზეიმი ქართული სახვითი ხელოვნების მორიგი გამარჯვებაა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის კარიბჭესთან.

გულნარა ჯაფარიძე.

* * *

სურათებზე: მხატვარ ელენე ახვლედიანის ნამუშევრები: ზევით — „პრაღა", ქვევით — „პილენკოვოელი კოლმეურნე".

ამას შენზე ამბობენ, ჩემო ქვეყანავ!

საქართველოს მუდამ მრავალი სტუმარი ჰყავს, მათ შორის ბევრია უცხოელი. სტუმრებზე ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც ასე გაიფურჩქნა და აყვავდა ამ ორმოცი წლის მანძილზე. ისინი განცვიფრებული და აღტაცებული არიან ჩვენი ხალხის გმირული შრომით, წინსვლის ტემპებით, ყოფით, მაღალი კულტურით. აი ამონაწერები ზოგიერთი ჩვენი სტუმრის შთაბეჭდილებიდან.

ერნესტო ფრანცისკო მალბეკი,

არგენტინელი ქირურგი.

მე ვხელმძღვანელობ პლასტიკური ქირურგიის განყოფილებას ბუენოს-აირესის საქალაქო კლინიკაში. საბჭოთა კავშირში პირველად 1955 წელს ჩამოვედი. ამ ხუთი წლის განმავლობაში მომხდარმა ცვლილებებმა აღფრთოვანებაში მომიყვანა, თქვენ დასახული გეგმები დიდი გადაჭარბებით შეგისრულებიათ, მომეწონა ხალხის ჩაცმულობა, მაღაზიები, ახალმშენებლობათა მთელი კვარტალები. ცხოვრება უფრო სამური, მდიდარი და მხიარული გამხდარა. განსაკუთრებული სიხარულით მოვისწრაფოდი საქართველოში. ამ შესანიშნავ რესპუბლიკაზე ბევრი რამ კარგი გამიგონია. აი ჩამოვედი თქვენთან და რაც ვნახე, მან, სიმართლე უნდა გითხრათ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თბილისში თავი ბუენოს-აირესში მეგონა, იმდენი საერთო აქვს ამ ორ ქალაქს. წყალტუბომ არგენტინის ულამაზესი ქალაქი კარდო მომაგონა; ქართველმა ხალხმა მომხიბლა თავისი ექსპანსიური ბუნებით და მიმზიდველი გარეგნობით, თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით. რაც ყველაზე თვალში საცემია, ეს გახლავთ ხალხის საერთო განვითარების მაღალი დონე, ეროვნული კულტურის სიდიადე. მართლაც საამაყოა, როდესაც ხედავ, თუ რარიგ სათუთად არის დაცული ამ პატარა ერის გმირული ისტორიის უკვდავი ძეგლები.

უფრო მიმზიდველია საქართველოს დღევანდელი დღე. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ქარხნების გვერდით უახლესი ქალაქებია წამოჭიმული. საქართველო საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე არგუმენტია. თქვენ ალბათ გაინტერესებთ ჩემი შთაბეჭდილებები საქართველოში მედიცინის საქმის გარშემო. გულახდილად, ყოველგვარი ქებისა და ხოტბის გარეშე გეტყვით, რომ ქართველი ქირურგები ყოველმხრივ მომზადებული სპეციალისტები არიან. საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის საქმემ საქართველოში ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ვნახე ადამიანზე ნამდვილი ზრუნვის შესანიშნავი მაგალითები.

კარლოს აუგუსტო ლეონი,

პოეტი, ვენესუელის ეროვნული კომიტეტის სენატორი, მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

მე პოეტი და იმავე დროს სენატორიც გახლავართ, დიდი ხანია ვწერ, დიდი ხანია საბჭოთა ქვეყნის მეგობარი ვარ. მე მრავალჯერ ვარ ნამყოფი საბჭოთა კავშირში და მხოლოდ ახლა განვახორციელი ჩემი სანუკვარი ოცნება — ვწვეოდი ჩემთვის შორიდან კარგად ნაცნობ საქართველოს. მე ვნახე აქ ძველი და ახალი. შეძლებისდაგვარად ვნახე უძველესი ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები. აბა რა დამავიწყებს დიდი შოთას „ვეფხისტყაოსნის" უძველეს ხელნაწერს, რომელიც ილუსტრირებულია უცნობი ქართველი მხატვრის მიერ. დედაქალაქის ისტორიულ მუზეუმებში მე შევიხედე თქვენი ერის დიდებულ, გმირულ ისტორიაში, გავეცანი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ყოფაცხოვრებას. ბედნიერება მქონდა მენახა საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა.

ამ უძველესი კულტურის გვერდით ჩვენ გავეცანით საბჭოთა საქართველოს დღევანდელ დღეს. რუსთავი თავისი მეტალურგიული გიგანტით და ლენინის სახელობის კოლმეურნეობა აჭარაში! აი ეს გახლავთ საქართველოს დღევანდელი დღე!

დიორდ რადო,

უნგრელი მწერალი.

მე ვთარგმნე ქართველი კლასიკოსების არჩილ მეორის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და სხვათა ნაწარმოებები. ახლა მე ვმუშაობ ქართული პოეზიის ანთოლოგიის თარგმანზე. ბედნიერი ვარ, რომ დიდებული ქართული ლიტერატურის შედევრებს გავაცნობ უნგრელ ხალხს და ამით უფრო დავამეგობრებ უნგრეთსა და საქართველოს.

ალი ჯავალ ტიხირი, შაქერ ხუსბაკი,

ერაყელი მწერლები.

ის დიდი სიყვარული, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ დაიმსახურა ხალხში შემთხვევითი როდია, ეს იმიტომ მოხდა, რომ ქართული ლიტერატურა სულ მუდამ ხალხთან იყო ჭირსა და ლხინში, ეს იმიტომ მოხდა, რომ ქართული ლიტერატურა ახალი ცხოვრების მედროშე და მახარობელია. არაბეთის ქვეყნებს ქართულ ლიტერატურასთან უძველესი ტრადიციები აკავშირებს. სამწუხაროდ, ისტორიული და პოლიტიკური ვითარების გამო ეს კავშირი შესუსტდა. ჩვენდა სასიხარულოდ ეს კავშირი ამ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა. ჩვენი მხრით ყველაფერს გავაკეთებთ მისი გაღრმავებისა და განვითარებისათვის. უკვდავი შოთას გმირები არაბეთიდან გაცოცხლდნენ ახალი დროის სულისკვეთებით. საქართველო თავისი შესანიშნავი კულტურით, მდიდარი მწერლობით ყოველთვის წამახალისებელი მაგალითი იქნება ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში ჩვენს ქვეყანაში.

პარტიული ქრონიკა

გამოცდილებას უზიარებენ...

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა სოფელ ლაშის კოლმეურნეობაში ჩაატარა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი.

გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარზე მოხსენებით გამოვიდნენ ლაშის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ვ. გელაშვილი და ამავე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმასთან შექმნილი პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი მერი ფუტკარაძე.

თავიანთი მუშაობის შესახებ ისაუბრეს კიცხისა და ლეღვნის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა გ. კვაშილავამ და პ. შარიქაძემ.

სემინარზე მოისმინეს აგრეთვე საუბრები: „რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები შვიდწლედის დავალებათა შესრულებაში", „კოლმეურნეობებში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხები" და ლექტორ-კონსულტანტის საუბარი — „იდეოლოგიური მუშაობის თანამედროვე ამოცანები".

ქ. სახვაძე,
ი. ხაჩიძე.

ფასების ახალი მასშტაბი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). აქ ჩატარდა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პროპაგანდისტების, აგიტატორების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და საფინანსო განყოფილების გამგეების თათბირი. თათბირს ესწრებოდა ქალაქ ფოთიდან და ზუგდიდის, აბაშის, გეგეჭკორის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებიდან 400-მდე კაცი. მათ მოისმინეს მოხსენება ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის შეცვლის შესახებ".

თათბირის მონაწილეებმა მომხსენებელს ბევრი საინტერესო შეკითხვა მისცეს.

ეს ცოცხალი ლაბორატორიაა!

სამოც ჰექტარზეა გადაჭიმული სუბტროპიკულ კულტურათა სოხუმის საცდელი სადგურის კოლხიდის საყრდენი პუნქტი, რომელიც რვა წლის წინათ შეიქმნა ჭალადიდში ჭაობებისაგან განთავისუფლებულ მასივზე. ამ ნაყოფიერ მიწაზე დამკვიდრდება, ტანს აიყრის მრავალი ჯიშის მცენარე.

და ახლა რას არ ნახავთ აქ. აი სურნელოვანი ნაყოფით დახუნძლული გრეიპფრუტი, ლიმონი, ახალზელანდიური დრაცენები. თავს გაწონებენ დაფნის, თხილის, კაკლის, ბროწეულისა და სხვა ხეხილის ნარგავები, სიმინდისა და პარკოსნების საუცხოო ნათესები, ხოლო ყოველი ცალკე ნაკვეთის გაყოლებით ჩარიგებულია ევკალიპტები. მთელი ეს ტერიტორია მწვანედ ხასხასებს და შეიძლება მას ვუწოდოთ კოლხიდის ფლორის ღია, ცოცხალი საცდელი ლაბორატორია.

აქ შექმნილია კულტურულ მცენარეთა მდიდარი კოლექცია, არის რამდენიმე ველური წარმოშობის მცენარე, აგრეთვე დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებში შექმნილ და გამოყვანილ მცენარეთა მრავალი ჯიში. სულ გაშენებულია 28.500 ჯიშის მცენარე, რომელთა ზრდა-განვითარებისა და დამკვიდრება-გაშენებისათვის საჭირო მეცნიერულ ღონისძიებათა სრული კომპლექსის შემუშავებაზე შრომობენ საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკები.

ყინვაგამძლე ციტრუსოვანთა ჯიშებზე დაკვირვებას ახდენენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ნ. მაისურაძე და მ. კოლოლეიშვილი, ტექნიკურ კულტურებზე (ბამბუკი, დაფნა და სხვ.) — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ფოგელი, თხილისა და კაკლის პლანტაციებზე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი მ. კვარაცხელია.

აქ არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ამზადებს სადისერტაციო შრომას. მაგალითად, ამჟამად ლენინგრადელი ასპირანტი ნონა სედუშკინა მეცნიერულ დაკვირვებას აწარმოებს ერთწლიან კულტურებზე, რათა მომავალ წელს წარსდგეს სადისერტაციო ნაშრომით სიმინდის ჰიბრიდული ჯიშების მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე.

წარსულმა წლებმა დაადასტურა, რომ 4-5 წლის ციტრუსის ხეები შეუფუთავად უძლებენ 15-20 გრადუს ყინვას. შემუშავდა მეთოდი დაფნის გავრცელებისა როგორც გათიშვით, ისე გადაწვენით, რამაც კარგი შედეგი აჩვენა. თხილისა და კაკლის პლანტაციაში 14-მდე სხვადასხვა ჯიშია. მიღებულია პირველი მოსავალი. უკვე სრულმოსავლიანია ხურმის, ფეიხოას, ლეღვის, ბროწეულის, მუშმულას, თუთის პლანტაციების დიდი ნაწილი. ცალკეულ ნაკვეთებზე ხარობს ბამბუკი, პალმები, დრაცენები, ახალზელანდიური სელი, კამფეტის ხე და სხვ.

ამასწინათ საყრდენი პუნქტის მუშაობას ადგილზე გაეცნო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი დ. დ. ბრეჟნევი.

პუნქტს პატარა, მაგრამ შრომისმოყვარე კოლექტივი ჰყავს. მას დაარსების დღიდან სათავეში უდგას გამოცდილი აგრონომი ნ. კირცხალია. მრავალი წელია ენერგიულად შრომობენ მუშები მ. ჩაჩიბაია, დ. ტორჩინავა, კ. ბუცხრიკიძე, ს. ალფაიძე, ნ. კოშკო, აგრეთვე აგრონომი შ. მიქაია და სხვები.

ასეთია კოლხიდის საყრდენი პუნქტი დღეს. ის უფრო მდიდარი და საინტერესო იქნება ხვალ.

კ. კომახიძე.

მოისხა ნაბადი და ცხვარში წავიდა

ნარკვევი

თერგის ხეობაში ჩაფენილმა ნისლმა პირი იბრუნა და მწვერვალებს მიაშურა. საგუდამაყროს მთის ფერდობებზე გულის გასახარად გამოჩნდნენ ცხვრის ფარები. სალამურების კვნესა და ცხვარბატკნის ბლავილი გაისმა გორიდან გორაზე.

— საუცხოო დილა იცის თერგის ხეობაში, — მითხრა თანამგზავრმა, — აქ მზე სხვა ხალისითა და ბრწყინვალებით ანათებს. ადამიანთა გულში მუდამ ჭაბუკური ძალაა დაგუბებული.

— მართლაც, რომ ზღაპრულია ეს ბუნება, ეს კუთხე, — ვუპასუხე მოხევეს და სიყვარულით გავხედე ჰორიზონტს.

ნირშეუცვლელად იდგნენ კავკასიონის გოლიათები — ყურო, ფიცარძირი, ნაროვანი, თრუსო და მარად ამაყი მყინვარი. ისინი ზემოდან დასცქეროდნენ ქაფმორეულ თერგს, მათი მკერდიდან ვეფხვის ნახტომით რომ ეშვებოდა დარიალის კლდეებისაკენ.

ახალგაზრდა მწყემსმა ჯუმბერ საბაურმა პატარა ტაფობზე დაცემულ მეცხვარეთა კარავისკენ მიმითითა.

— აქ ჩემი ბრიგადის წევრები პარსავენ ცხვარს. გახურებული მუშაობაა. კარგ დროს მოვედით.

სწრაფი ნაბიჯით მივაშურეთ ფარეხს. მწყემსებს მშვიდობა-ამბავი ვკითხეთ.

ჯუმბერ საბაურმა საჩქაროდ გადაიცვა სპეცტანსაცმელი, ამხანაგებს შეუერთდა და პარსვას შეუდგა. ჩქარობდნენ არშელი ვაჟკაცები. ვერცხლისფერი მატყლი სამოდ იტალღებოდა, ბზინავდა. უფროსი მწყემსი პავლე მირაქიშვილი უბის წიგნაკში იწერდა მატყლის გამოსავლიანობის მაჩვენებლებს და ეტყობოდა, შედეგებით კმაყოფილი იყო.

არშისა და სიონის სასოფლო-სამეურნეო არტელები გაერთიანდნენ და ეკონომიურად ძლიერი კოლმეურნეობა შექმნეს ყაზბეგის რაიონში. ახლა თვითეული მეცხვარის ფიქრი ის არის, რომ შესამჩნევად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, ასახელოს თავისი სოფელი.

გულმოდგინე შრომით მთელ რაიონში გაითქვა სახელი კომკავშირელმა ჯუმბერ საბაურმა, რომელმაც მეცხვარის ჯოხს ბავშვობიდანვე მოჰკიდა ხელი. საზაფხულო არდადეგების დროს ჯუმბერი საგუდამაყროს მთას მიაშურებდა ხოლმე და უფროსებს ამოუდგებოდა მხარში. მოსწონდა ყმაწვილს მწყემსის ცხოვრება და საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მეცხვარის პროფესია აირჩია.

გზა თერგის სათავეებიდან ბაჯიგანის ტრამალებამდე ჯუმბერ საბაურს ნაბიჯით აქვს გაზომილი. თავისი ხელისგულივით იცის საზამთრო თუ საზაფხულო საძოვრების ყოველი კუთხე-კუნჭული.

ერთხელ ჯუმბერი სოფლიდან ფარეხში ბრუნდებოდა. შავი ღრუბლებით ჩამოქუფრულმა ცამ მოულოდნელად მოიხსნა პირი და წვიმა ჩანჩქერივით წამოვიდა. ჩამოღამდა. არ შეჩერებულა ჭაბუკი. შეუპოვრად მიიწევდა წინ. მოვარდნილ ნიაღვარს აინუნში არ აგდებდა. უცებ შორიახლოს თეთრი ტაფობი დალანდა. ჯერ ზვავის დაუდნობელი თოვლი ეგონა. მაგრამ ელვის შუქზე მოძრავი წერტილები გაარჩია და იქით წავიდა. მგზავრის მიახლოებისას თეთრი ტაფობი ამოძრავდა და შეიკუმშა. მიხვდა, რომ ცხვრის ფარასთან ჰქონდა საქმე. შეეხმიანა, მიუალერსა და ახლოს მივიდა. იცნო ჯუმბერმა თავისი სამწყემსო. ფარას მოწყვეტილი ასამდე ცხვარი ხევის პირას შეჭუჩებულიყო. შეწუხდა საბაური. იცოდა, რომ ღამე ფარას ფარეხამდე ვერ მიიყვანდა და დარაჯად დაუდგა. თოფზე დაყრდნობილმა გაათენა სუსხიანი ღამე.

და როცა ფარას ასხლეტილ ცხვართან ერთად საყვარელი მეგობარიც დაინახეს, მწყემსები გაოცდნენ. აღტაცებულები შემოეხვივნენ ჯუმბერს.

დიდ ქარ-წვიმასა და ნისლს ფარისათვის იალაღებზე მოესწრო. ცხვრის დაგროვება და გადარეკვა გასძნელებოდათ მწყემსებს და ამ არეულ-დარეულობაში დაკარგული ცხვრებისთვისაც ველარ მიეგნოთ. სამაგიეროდ ჯუმბერ საბაურმა ივაჟკაცა. ხალხის სიმდიდრე არ გაატანა მტაცებელ ნადირს.

სახელოვანი გზით მიდის ახალგაზრდა მეცხვარე. იგი მარტო შრომით როდი იქცევს ყურადღებას, სწავლაშიც კარგი მიღწევები აქვს. ჯუმბერ საბაური თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია და კარგად ათავსებს სწავლასა და შრომას ერთმანეთთან.

ჯუმბერმა და მისმა ამხანაგებმა ცხვარი საგუდამაყროს მთის მწვანე კალთებზე გამოაზაფხულეს. პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით აღმოფხვრეს ცხვრის სიკვდილიანობის შემთხვევები და გაზარდეს მატყლის გამოსავლიანობა. მეორე პარსვისას თვითეულ ცხვარზე 2 კილოგრამამდე მატყლს იღებენ, ვალდებულება კი კილოგრამნახევარს ითვალისწინებს. მოხევე მწყემსები მალე გაემგზავრებიან კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე.

სტუდენტ მეცხვარეს განსაკუთრებით კარგი მეგობრობა აქვს კომკავშირელ მერაბ სამქანაშვილთან. მერაბსაც საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული და ჯუმბერის დახმარებით ემზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

— ზოოტექნიკოსი უნდა გავხდე, — ამბობს მერაბი, — ძალიან მიტაცებს მეცხვარეობა, ახავერდებულ იალაღებზე ყოფნა.

ისმენ და გჯერა, რომ ამ სიტყვებში მთელი გრძნობით ჩაქსოვილია საქმის, მთებისა და ჩანჩქერების სიყვარული.

ვინ არ მოუხიბლავს დარიალის მიდამოებს, ვინ არ დამტკბარა ცივი წყაროების კამკამით, კავკასიონის მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით. ამ მთებისა და ხეობების სილამაზესა და ბუმბერაზობას უმღერეს ქართველმა და რუსმა კლასიკოსებმა. ლექსის დიდი ოსტატი გალაკტიონ ტაბიძე ამბობდა:

„მე კავკასიის ქედები
მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა
თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს —
ხევის ბეთჰოვენს
აგუგუნება კაიშაურის"...

ახლა ჯუმბერ საბაურსაც სთხოვენ მშობლიური მთები, რომ ახალი გამარჯვებები მოიპოვოს შრომის ფრონტზე, სამშობლოს მისცეს მეცხოველეობის უხვი პროდუქტები.

სტუდენტ მეცხვარეს კარგად ესმის მთების გულისცემა და თერგის ხეობაში შრომით წერს ჩვენი ცხოვრების შესანიშნავ სტრიქონებს.

გიორგი გიგაური.
თერგის ხეობა.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივი შვიდწლედში აითვისებს ახალი ჩარხების წარმოებას. ქარხანასთან ამას წინათ შექმნილ ჩარხმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში წარმოებს ახალი ჩარხების დამუშავება.

სურათზე: ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორები თინა ნიკოლაიშვილი და არჩილ პულუზაშვილი ახალი ჩარხის კონსტრუქციას ამუშავებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ზარალის ანაზღაურება თავმჯდომარეს დაეკისრა

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წყალფორეთის კოლმეურნეობაში არსებული დარღვევებისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის უკანონო მოქმედების შესახებ რედაქციაში შემოსული იყო წერილი. იგი შესამოწმებლად გადაეგზავნა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომს, რომელმაც გვაცნობა:

დადასტურებულია ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობამ 1958 წელს შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „გაზ-67", რომლის შეკეთებისათვის დაიხარჯა 5.000 მანეთზე მეტი და მანქანა ამჟამადაც არ მუშაობს. ასეთი მანქანა არ უნდა ეყიდა კოლმეურნეობას. გამოვლინებულია საკოლმეურნეო თანხების უყაირათო ხარჯვის ფაქტები.

რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული კოლმეურნეობის საკითხი და საკოლმეურნეო თანხების უკანონოდ ხარჯვისა და კოლმეურნეობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ზომების მიუღებლობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. გველესიანს რაიკომის ბიურომ გამოუცხადა საყვედური. მასვე დაავალა უმოკლეს ხანში აანაზღაუროს კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალი.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

СССР
კომუნისტი

ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲡ

რომი, 5 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტმა ა. კრასიკოვმა იტალიის მთელ რიგ საზოგადო მოღვაწეებს სთხოვა გამოთქვან თავიანთი აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის შესახებ.

იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტის ხელმძღვანელობისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრმა ჯოის ლუსუმ აღნიშნა, რომ ამ სესიაზე დასმულია საკითხი „იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გარდაიქმნას ისეთ ორგანიზაციად, რომელიც ნამდვილად იქნება წარმომადგენელი მსოფლიოს ყველა ქვეყნის და არა მარტო მისი ერთი ნაწილის ინტერესებისა, სადაც გაბატონებული არიან შეერთებული შტატები“.

ჯოის ლუსუმ შემდეგ თქვა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მაგალითის მიხედვით მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი ხელმძღვანელები აგრეთვე ჩამოვიდნენ სესიაზე და რომ სესიის მუშაობაში ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობის მეოხებით „გამომჟღავნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაკლოვანებანი“.

„ნ. ს. ხრუშჩოვის სამმა გამოსვლამ სესიის სხდომებზე, — თქვა დასასრულ ლუსუმ, — გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამერიკის იმპერიალიზმს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა ემსახურებოდეს ყველა ხალხის ინტერესებს, მშვიდობის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს“.

„ჩინეთთან ურთიერთობის განვითარებისათვის ცენტრის“ მდივანმა სერჯიო სეგრემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ნ. ს. ხრუშჩოვის იმ განცხადების უდიდეს მნიშვნელობას, რომ საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. „თუ სურთ, რომ მსოფლიოში მშვიდობიანი წონასწორობა დამყარდეს, — თქვა სეგრემ, — სახალხო ჩინეთის წარმომადგენელი უნდა მიიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

„ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, — განაცხადა თავის მხრივ იტალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის მდივანმა, დეპუტატმა ლუჩიო ლუცატომ, — საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემა დასმულია რეალური ფაქტების მიხედვით, რომელთა არსებობას ვერც უარვყოფთ, ვერც უგულებელვყოფთ. იმ გარემოებამ, რომ აზიისა და აფრიკის ხალხთა მთელმა ჯგუფმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და რომ ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლა იმ ხალხთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან კოლონიურ ექსპლოატაციას, სრულიად ახალი ვითარება შექმნა მსოფლიოში“.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, — განაგრძო ლუცატომ, — ველარ მივიჩნევთ სახელმწიფოთა ერთი გარკვეული დაჯგუფების პოლიტიკის განხორციელების იარაღად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რომ თავის წინაშე მდგომი ამოცანები შეასრულოს, უნდა აღმოფხვრას დისკრიმინაციული პოლიტიკის ყველა გადმონაშთი, მისცეს ჩინეთს ადგილი, რომელიც მას კანონით ეკუთვნის, ხელი აიღოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების იმ ხალხთა მისწრაფების უგულებელყოფაზე, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს თავისუფლება, გაითვალისწინოს იმ წვლილის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მათ საერთო საქმეში აქვთ შეტანილი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადებებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ“.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲐ ᲐᲚᲟᲘᲠᲨᲘ

რაბათი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლობამ მაროკოში გუშინ რაბათში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც მაროკოელ და უცხოელ ჟურნალისტებს წარუდგინეს თერთმეტი ყოფილი უცხოელი ლეგიონერი, რომელნიც ამას წინათ დეზერტირად გავიდნენ საფრანგეთის არმიის რიგებიდან ალჟირში.

ყოფილმა ლეგიონერებმა, რომელთა შორის იყო რვა გერმანელი, ორი უნგრელი და ერთი ჰოლანდიელი, ილაპარაკეს, თუ რა სისასტიკით ცდილობენ საფრანგეთის არმიისა და უცხოელთა ლეგიონის ჯარისკაცები ჩაახშონ ალჟირელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ყოფილმა ლეგიონერმა ჰოლანდიელმა დე ფრისმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი საწვრთნელი სროლის დროს ყოფილი სს-ელის კაპრალის ბრძანებით მოკლეს ქალი და მისი ბავშვი.

1960 წლის იანვარში აინ-სეფრის რაიონში, განაგრძო მან, უცხოელთა ლეგიონის რაზმმა ლეიტენანტ გოლდშმიტის მეთაურობით დააპატიმრა ოთხი მოქალაქე ალჟირელი, რომლებიც შემდეგ აწამეს და დახვრიტეს.

მეორე ყოფილმა ლეგიონერმა გერმანელმა ვოლფგანგ რიუდიგერმა თქვა, რომ 1959 წლის 1 მაისს უცხოელთა ლეგიონის ჯარისკაცებმა ქალაქ საიდიაში დააპატიმრეს 40 სრულიად უდანაშაულო ალჟირელი მცხოვრები, რომელთაგან 27 შემდეგ დახვრიტეს.

პრესის წარმომადგენლებს აცნობეს საფრანგეთის არმიისა და უცხოელთა ლეგიონის ჯარისკაცების სისასტიკის აგრეთვე სხვა არანაკლებ საზარელი მაგალითები.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა მაროკოში აღნიშნეს, რომ უცხოელთა ლეგიონის ძირითად ნაწილს შეადგენენ გერმანელები, ესპანელები, იტალიელები და ევროპის სხვა ქვეყნების მოქალაქენი, რაც მოწმობს, რომ ნატოს წევრები და კერძოდ, დასავლეთ გერმანია პირდაპირი თანამონაწილენი არიან იმ ბინძური ომისა, რომელსაც ფრანგი კოლონიზატორები აწარმოებენ ალჟირში.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

„ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲗ“

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ცნობილი მომღერალი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი პოლ რობსონი თვალსაჩინო დამსახურებისათვის ხალხთა ურთიერთგაგების, მეგობრობისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში დაჯილდოებულია ვერცხლის ორდენით „ხალხთა მეგობრობის ვარსკვლავი“.

ეს ორდენი პოლ რობსონს გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა იმ კონცერტის შემდეგ, რომელიც გუშინ გაიმართა ბერლინში, „შპორტჰალეს“ დარბაზში.

ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

კაირო, 6 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ნიუ-იორკიდან დაბრუნებას, სადაც იგი მეთაურობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნასერმა, რომელიც შეეხო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც წამოიჭრა საერთო პოლიტიკური დისკუსიის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ანხორციელებენ, სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

ნასერმა აღნიშნა, რომ კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოებს ძალუძთ სწრაფად და წარმატებით განავითარონ თავიანთი ეკონომიკა და განაცხადა, რომ ამის მაგალითია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებელი განვითარების შვიდ წელიწადში შეძლო ერთიორად გაედიდებინა თავისი ეროვნული შემოსავალი.

ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, რადგანაც ომს დამღუპველი შედეგები მოაქვს მთელი კაცობრიობისათვის, განაცხადა ნასერმა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲔᲙᲣ ᲢᲣᲠᲔ

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე ნიუ-იორკს ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲨᲘ

ლონდონი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). კონგოდან მიღებული ცნობების მიხედვით, კოლონიზატორები კვლავ ქსელავენ შეთქმულებას პატრის ლუმუმბას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. იხარჯება დიდძალი ფული, რათა კონგოს პარლამენტის დეპუტატები აამხედრონ ლუმუმბას მთავრობის წინააღმდეგ. კოლონიზატორებმა ამ უკანასკნელ დღეებში გადაიბირეს პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, ა. სონგოლომ — ლუმუმბას მთავრობის ყოფილმა კომუნიკაციათა მინისტრმა, რომელიც ილეოს თვითმარქვია მთავრობას მიემხრო, — განაცხადა, რომ პარლამენტის ექვსი დეპუტატი „კონგოს ეროვნული მოძრაობის „პარტიისაგან უარს ამბობს მომავალში მხარი დაუჭიროს ლუმუმბას.

პოლკოვნიკი მობუტუ, რომლის ჯარისკაცები აქამდე დეპუტატებს არ უშვებდნენ პარლამენტის შენობაში, სონგოლოსთან მოლაპარაკების შემდეგ შეუდგა პარლამენტის მოწვევის „შესაძლებლობის შესწავლას“. კოლონიზატორებისა და მათი აგენტურის განზრახვა ის არის, რომ მუქარისა და მოსყიდვის გზით აიძულონ პარლამენტი უნდობლობა გამოუცხადოს ლუმუმბას მთავრობას და „დააკანონოს“ სახელმწიფო გადატრიალება.

ელიზაბეტვილიდან მიღებული ცნობებით, მარიონეტ ჩომბეს ხროვაში ძლიერდება განხეთქილება და უთანხმოება, უცხოეთის სხვადასხვა მონოპოლისტური ჯგუფის აგენტები დავობენ ერთმანეთში იმის შესახებ, თუ ვის მიჰყიდონ უფრო ძვირად კატანგის ბუნებრივი სიმდიდრის შემდგომი დატაცების უფლება.

კატანგის მარიონეტული სახელმწიფოს „მმართველი“ პარტიის „კონაკატის“ თავმჯდომარემ ნდალა კამბოლამ ბრალად დასდო ბელგიას ის, რომ მას არ სურს შეინარჩუნოს თავისი ეკონომიური მონოპოლია მთელი კონგოსადმი, და დაემუქრა, რომ მოახდენს კომპანია „უნიონ მინიერის“ და ბელგიის ყველა კომპანიის ნაციონალიზაციას.

ნდალა კამბოლამ განაცხადა, რომ კატანგა მომავალში ეკონომიურ დახმარებას სთხოვს საფრანგეთს, კანადასა და დასავლეთ გერმანიას და არ შეუშვებს კატანგაში ბელგიის კაპიტალს.

ჩომბემ დაუყოვნებლივ უარყო რადიოთი ნდალა კამბოლას განცხადება, როგორც „ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული“, და ამტკიცებდა, რომ ნდალა კამბოლას არავითარი რწმუნება არ აქვს გამოვიდეს „კონაკატის“ პარტიის სახელით.

ᲛᲐᲙᲐᲠᲢᲘᲖᲛᲘ „ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ“

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). მაკარტიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჯერ არ მომკვდარა“ — იძულებულია აღიაროს დღევანდელ სარედაქციო სტატიაში გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“. „და ამჟამად, — წერს გაზეთი, — ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ხშირად ვხედავთ იმავე გონებაგანწყობილების (ე. ი. მაკარტიზმის. — რედ. შენიშვნა) დამამტკიცებელ საბუთებს, როგორც სენატის საშინაო უშიშროების საკითხთა ქვეკომისიაში, ისე წარმომადგენელთა პალატის ანალოგიურ კომისიაში — ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში“.

ერთ-ერთ მაგალითად გაზეთს მოჰყავს ცნობილი მეცნიერის ლაინუს პოლინგის დაკითხვა სენატის ქვეკომისიაში, რაც გრძელდება. „სდევნის რა პოლინგს, — აღნიშნავს გაზეთი, — ქვეკომისია ახორციელებს თავის ჩვეულებრივ პოლიტიკას — შარს სდებს ადამიანებს, რომელთაც ეჭვით აბრალებენ მემარცხენე განწყობილებას და სხვაგვარად აზროვნებას“.

„სენატის ამ ქვეკომისიაში არსებულ განწყობილებას კარგად გვიხატავს აგრეთვე მეორე, ამასწინათ ამოტივტივებული საქმე, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი. — საქმე ეხება დამამცირებელ მოქმედებას, რომელიც ქვეკომისიამ დაიწყო გაზაფხულზე, როცა მან ინგლისელ თეატრალურ კრიტიკოსს კენეტ ტაინანს, რომელიც მაშინ ვიზიტად იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოუწყო დაკითხვა, თუ რა აზრის იყო კუბის შესახებ, საქმე ეხება აგრეთვე სატელევიზიო სპექტაკლის ტექსტს, რომლის დადგმასაც მან ხელი შეუწყო ინგლისში, გამოთქვა რა იქ მთელი რიგი ცნობილი ამერიკელების აზრი, რომლებიც „სხვანაირად აზროვნებენ“.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲡᲐᲞᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). სამი დღე მიმდინარეობდა ბაბუშერის იპოდრომზე ასპარეზობა საცხენოსნო სპორტში ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის“ აფხაზეთის საბჭოს 1960 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე. იპოდრომის მწვანე მინდორზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კოლმეურნე მხედრები, სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების ნაკრები გუნდები. კონკურსგარეშე პირველობაში მონაწილეობდნენ ზუგდიდელი ცხენოსნები.

საინტერესოდ წარიმართა ტურნირი ცხენბურთში. სპორტის ამ ეროვნულ სახეობაში გუდაუთელთა გამოცდილმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სახელგანთქმული მოჯირითენი ზ. ანშბა, მ. კვარაცხელია, გ. გუმბა, დაამარცხა ოჩამჩირელები ანგარიშით 10:1, სოხუმელები — 12:1, გალელები — 12:0 და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი.

ისინდში მაღალ დონეზე ჩაატარეს შეჯიბრებანი გუდაუთელებმა, ოჩამჩირელებმა და სოხუმელებმა. მათ ქულების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. საინტერესო იყო გუდაუთის და სოხუმის რაიონების გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს სოხუმელმა ცხენოსნებმა (5:4). დაბრკოლებათა გადალახვაში პირველი გუნდური ადგილი ოჩამჩირის რაიონის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ასპარეზობის პროგრამის ყველაზე საინტერესო ნომერი იყო 10 კილომეტრ მანძილზე მარულა, რომელშიც გაიმარჯვა სოხუმის რაიონის წარმომადგენელმა ნ. კვირკველიამ.

სამი დღის ასპარეზობის შედეგად პირველი გუნდური ადგილი მიეკუთვნა სოხუმის რაიონის სპორტსმენებს, მეორე ადგილზე გამოვიდნენ გუდაუთელები, ხოლო მესამეზე — ოჩამჩირელი ცხენოსნები.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის მეოთხე ტური.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე გვატყობინებს, რომ საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდი შეხვდა მოსკოველ მოჭადრაკეებს. ჯინჯიხაშვილმა ძლიერად ჩაატარა შეხვედრა სპექტორის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. პეტროსიანმა მოუგო ბუსლაევს, ვასიუკოვმა — ჯანოევს, ხასინმა — მეგრელიშვილს. ბლაგიძე - ბრონშტეინის და შიშოვ - სიმაგინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გურგენიძე - სმისლოვის პარტია გადაიდო მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ქართველი მოჭადრაკე ქალების პარტიებიც გადადებულია.

ჯერჯერობით სხვა გუნდების შეხვედრებში ანგარიში ასეთია: ესტონეთი-აზერბაიჯანი — 3 : 2, რსფსრ-უკრაინა — 3,5 : 1,5, ლატვია-ლენინგრადი — 6,5 : 2,5. ბელორუსიის გუნდი ისვენებს.

დღეს გაიმართება მეხუთე ტური.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა აკ. წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თასის გათამაშება, რომელიც კალათბურთის სექციამ მოაწყო. თასს ერთმანეთს ეცილებოდნენ მაღაროელი, მშენებელი, მოსწავლე და ავტოტრანსპორტელი კალათბურთელები.

შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის კალათბურთის გუნდმა (გუნდის თავი ჯ. გონგლაძე), რომელსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცა ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი თასი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. გუშინ „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში პირველი ფინალური ჯგუფის გუნდებისათვის საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და როსტოვის სკას ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

7 ოქტომბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — საქართველოს სახელმწიფო ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — ჩარლის დეიდა, გრიბოედოვის სახელობის — გაზაფხულის ვიოლინოები, სანკულტურის — პროფესორ დოუელის თავი (აბონ. № 1). მოზარდ მაყურებელთა ქართული — პეტკა კოსმოსში (აბონ. № 36, 4 ს.), თოჯინების ქართული — მეჭაბუკი (11 ს.), ტყის საათი (2 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რეროს“ კონცერტი.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა „სტუდიაში გამომგონებლები“, 19.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — გადაცემა — რესპუბლიკის სახალხო მხატვარ ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენაზე, 20.05 — კინონარკვევი, 20.30 — ახალი ამბები, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „ადამიანის სისხლი წყალი როდია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს იცოცხლე! — კეთილი სურვილით მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს, როცა მადლობის გადახდა, პატივისცემა უნდათ.

ეს მოხუცი, ქართული ჩოხა-ახალუხი და სატევარი რომ ამშვენებს, 110 წელს გადაცილებულია. იგი მესტიის რაიონში მცხოვრები ტარასი ჯაფარიძეა. ვინ იცის, რა არ გადახდენია თავს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე.

სათქმელი არ დალევა ტარასის. ტურისტებსაც ეს უნდათ. ხშირად ქცეულან ახალგაზრდები, როცა ძველისძველ ამბებს ჰყვება გარდასულ დროთა ცოცხალი მემატიანე.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ᲫᲛᲔᲑᲘ — ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

კავშირგაბმულობის ხაშურის რაიკანტორაში წერილების დამხარისხებლად მუშაობენ ფოსტის ძველი მუშაკები ძმები ალექსანდრე და შალვა ჯობაძეები. მთელი თავიანთი შრომითი ცხოვრება მათ კავშირგაბმულობის ორგანოებში მუშაობას მოახმარეს. ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ორივე ძმა საბჭოთა მთავრობის მიერ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თუ როგორ გაიზარდა მშრომელთა საფოსტო მომსახურება, ამის შესახებ ა. ჯობაძე ამბობს:

— მე რომ აქ პირველად მოვედი, დღეში ორასი წერილი თუ მუშავდებოდა და იგზავნებოდა, ახლა კი ორი ათასამდე წერილს ვამუშავებთ.

მიმდინარე წლის გასულ პერიოდში რაიკანტორაში დამუშავებული და გაგზავნილია ნახევარ მილიონზე მეტი წერილი, 26 ათასზე მეტი ფულადი გზავნილება, ათასობით ამანათი, აგრეთვე ერთ მილიონამდე გაზეთი და ჟურნალი. ამ დიდი სამუშაოს შესრულებაში წვლილი მიუძღვით ძმებს — ალექსანდრე და შალვა ჯობაძეებს.

დ. ფარემუზოვი.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ

ელექტროდენის მოკლე ჩართვის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა ბათუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრების ზ. ჩიქოვანის სახლს.

ხანძრის დროს დიასახლისი სახლში არ იყო და მცირეწლოვანი ბავშვები მარტოდ იყვნენ დატოვებული. ხანძარი შენიშნა ამავე სოფლის მკვიდრმა ზორა ზაქარაძემ. იგი სწრაფად შეიჭრა ალმოდებულ სახლში და გამოიყვანა ორი ბავშვი — ერთი 9 თვისა აკვნით, მეორე კი ორი წლისა. როცა ბავშვები სამშვიდობოზე გაიყვანა, მამაცი ქალი კვლავ შებრუნდა სახლში და დაწვას გადაარჩინა ზოგიერთი ძვირფასი საოჯახო ნივთი.

ზორამ მთელი სოფლის მადლობა დაიმსახურა.

ქ. ცეცხლაძე.

Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲡᲢᲘ

დიდი ქართველი პედაგოგისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად მთაწმინდაზე, მწერლის საფლავზე ამ დღეებში დაიდგმება მისი ბიუსტი. იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის ავტორია მოქანდაკე ქ. გრიგოლია, კვარცხლბეკისა — არქიტექტორი ვ. აბრამიშვილი.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

8 და 9 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთ რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, დანარჩენ რაიონებში უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი, რიონის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 14-19 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 15-19 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 9-14 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 77-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. მოსკოვში 1960 წლის 30 სექტემბერს.

მოგება ხვდა სესხის თოთხმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000214	1—50	400	031118	19*)	10.000	070372	1—50	1.000
000524	1—50	400	031431	1—50	400	070402	45*)	5.000
000746	46*)	5.000	032401	1—50	400	070600	1—50	1.000
001510	27*)	10.000	033068	40*)	5.000	070748	07*)	5.000
002009	1—50	400	033196	07*)	5.000	071387	1—50	400
003269	05*)	5.000	033852	1—50	400	072062	1—50	400
003587	1—50	400	034486	1—50	400	073365	14*)	10.000
004498	40*)	5.000	034767	1—50	400	073765	09*)	5.000
004613	1—50	1.000	034926	1—50	400	075031	1—50	1.000
005092	34*)	50.000	035062	34*)	5.000	075217	1—50	400
006358	27*)	5.000	035380	34*)	10.000	075667	1—50	400
006751	1—50	1.000	035508	43*)	5.000	075904	17*)	10.000
007049	49*)	5.000	038090	07*)	5.000	076231	32*)	5.000
011486	08*)	5.000	038158	08*)	5.000	076564	1—50	400
011544	1—50	400	038303	1—50	400	076716	21*)	5.000
011673	1—50	400	038340	47*)	5.000	077119	12*)	10.000
011802	18*)	10.000	038878	12*)	5.000	078096	35*)	5.000
011896	39*)	25.000	039356	32*)	5.000	078856	1—50	1.000
012208	43*)	5.000	039625	28*)	10.000	079478	14*)	5.000
012740	1—50	400	039637	35*)	5.000	079699	31*)	10.000
013527	40*)	5.000	040550	43*)	10.000	079999	41*)	5.000
014352	1—50	400	041489	20*)	25.000	080320	17*)	5.000
015291	10*)	25.000	043225	14*)	10.000	080682	35*)	5.000
016205	12*)	10.000	043351	39*)	5.000	080746	45*)	5.000
016287	06*)	5.000	045041	1—50	1.000	080971	1—50	1.000
017823	1—50	1.000	045269	40*)	10.000	080986	02*)	10.000
017873	41*)	10.000	046027	28*)	25.000	081494	1—50	400
018296	1—50	400	046202	27*)	5.000	081511	36*)	5.000
019658	24*)	5.000	048753	50*)	5.000	082375	50*)	5.000
019954	44*)	5.000	049679	08*)	5.000	082679	02*)	5.000
019989	1—50	400	049986	12*)	10.000	083016	32*)	5.000
020682	40*)	10.000	052419	1—50	400	084037	22*)	5.000
020797	43*)	10.000	052891	14*)	5.000	084328	11*)	5.000
021003	04*)	5.000	054294	1—50	400	084469	41*)	5.000
021369	1—50	400	054481	34*)	5.000	084681	10*)	5.000
022037	40*)	5.000	054503	18*)	5.000	085930	1—50	400
022436	18*)	5.000	055205	22*)	25.000	087512	45*)	5.000
022554	13*)	5.000	055521	11*)	5.000	087889	1—50	400
023071	45*)	5.000	056032	27*)	5.000	088451	34*)	5.000
023453	44*)	5.000	056388	1—50	400	089251	1—50	400
023719	18*)	10.000	057231	40*)	5.000	089396	1—50	400
023826	1—50	400	058643	1—50	400	090348	1—50	400
024177	01*)	10.000	060992	33*)	5.000	091274	1—50	400
024999	34*)	5.000	061003	14*)	5.000	091377	08*)	5.000
025004	1—50	400	061790	21*)	10.000	092061	1—50	400
026130	03*)	10.000	061898	15*)	5.000	092344	07*)	10.000
026290	28*)	5.000	061969	1—50	1.000	092516	44*)	5.000
026658	27*)	5.000	062462	02*)	5.000	093252	43*)	5.000
027658	45*)	5.000	065235	27*)	5.000	093365	1—50	400
027797	1—50	1.000	066063	23*)	10.000	093632	06*)	5.000
028644	38*)	5.000	066776	27*)	5.000	094033	1—50	400
028958	1—50	400	066875	04*)	50.000	094069	18*)	5.000
029269	24*)	5.000	067435	1—50	1.000	094073	1—50	1.000
030137	1—50	400	067528	10*)	5.000	094512	31*)	5.000
030643	1—50	1.000	068202	1—50	400	096216	16*)	5.000
030820	10*)	5.000	068958	1—50	400	096375	1—50	400
			070056	41*)	10.000	097298	08*)	5.000

---

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მე-13 დამატებითი ტირაჟის მოგებანი გაიცემა იმ ობლიგაციებზე, რომლებსაც ზედ აქვთ № 13 ტალონი. იმ ობლიგაციაზე, რომელსაც № 13 ტალონი არა აქვს, მე-13 დამატებითი ტირაჟის მოგება არ გაიცემა. ასეთი ობლიგაცია დაიფარება ნომინალური ღირებულების გაცემით.

ცხრილში აღნიშნულია ორასმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ასმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების კუიბიშევის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ნ. სიდოროვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევა.**

მოგებათა მე-13 დამატებითი ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. მოსკოვში 1960 წლის 30 სექტემბერს.

მოგება ხვდა სესხის თოთხმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000198	1—50	5.000	031466	1—50	1.000	067671	1—50	400
000224	1—50	400	032089	1—50	400	067682	1—50	1.000
000521	1—50	400	032112	1—50	400	068048	36*)	25.000
000586	1—50	1.000	032183	31*)	25.000	068681	10*)	10.000
000826	18*)	25.000	033018	1—50	400	069251	14*)	10.000
001145	30*)	10.000	033120	23*)	10.000	069326	1—50	400
001420	1—50	400	033344	32*)	25.000	069532	1—50	400
001757	14*)	10.000	034332	41*)	10.000	069601	1—50	1.000
002133	1—50	1.000	034906	19*)	10.000	070864	1—50	5.000
002977	1—50	1.000	034913	1—50	1.000	071214	1—50	5.000
003318	1—50	400	035080	37*)	50.000	071314	29*)	10.000
003658	33*)	10.000	035140	1—50	400	071500	38*)	25.000
004888	1—50	400	035292	1—50	1.000	072027	26*)	25.000
005443	1—50	400	035765	1—50	1.000	072360	32*)	25.000
005466	49*)	10.000	035989	1—50	400	073059	1—50	400
005754	1—50	1.000	036138	1—50	400	073368	33*)	10.000
005846	30*)	10.000	036399	1—50	400	074346	40*)	10.000
007095	1—50	1.000	036748	1—50	1.000	074567	25*)	10.000
007549	1—50	400	037058	1—50	400	074640	43*)	25 000
007750	25*)	10.000	037246	44*)	10.000	074734	07*)	50.000
007917	1—50	1.000	037434	03*)	10.000	075434	13*)	10.000
007967	1—50	400	037582	1—50	5.000	076047	1—50	400
008113	1—50	5.000	037716	1—50	400	078039	1—50	400
008295	1—50	400	038248	49*)	25.000	078089	1—50	1.000
008460	1—50	400	038540	24*)	10.000	078100	23*)	25.000
008518	1—50	5.000	039162	1—50	1.000	078109	1—50	400
008973	19*)	10.000	039449	42*)	10.000	078162	1—50	1.000
009455	32*)	10.000	039758	1—50	1.000	079759	1—50	400
010025	1—50	400	040359	28*)	25.000	079872	1—50	400
011294	1—50	400	040427	1--50	5.000	080258	1—50	1.000
011872	24*)	25.000	041759	25*)	25.000	080686	21*)	50.000
012270	1—50	1.000	042888	1—50	1.000	082036	04*)	10.000
012278	1—50	1.000	044773	28*)	25.000	082046	33*)	25.000
012607	42*)	25.000	045028	1—50	5.000	082073	1—50	400
013250	1—50	1.000	045821	1—50	1.000	082901	17*)	10.000
013800	1—50	1.000	046087	1—50	1.000	083066	1—50	1.000
014032	29*)	10.000	046802	1—50	400	083131	1—50	1.000
014412	1—50	400	047246	18*)	10.000	084454	1—50	1.000
014416	40*)	10.000	047539	44*)	25.000	085206	15*)	10.000
014631	1—50	1.000	048389	1—50	400	085278	1—50	400
014890	1—50	1.000	049025	20*)	50.000	085773	1—50	400
015023	1—50	400	049218	1—50	5.000	086079	1—50	1.000
015853	1—50	400	049858	1—50	400	086139	1—50	1.000
016638	45*)	10.000	052047	1—50	400	086523	11*)	10.000
017383	1—50	400	052067	18*)	25.000	086557	02*)	10.000
017897	22*)	10.000	052314	1—50	1.000	086752	01*)	10.000
018136	12*)	10.000	053017	12*)	10.000	087941	1—50	5.000
018235	16*)	10.000	053367	02*)	10.000	088733	02*)	10.000
019054	48*)	10.000	053936	09*)	10.000	089166	1—50	1.000
019628	11*)	10.000	054586	17*)	10.000	090370	44*)	25.000
020262	17*)	10.000	054890	1—50	400	091838	44*)	10.000
020687	1—50	400	054915	28*)	10.000	091854	02*)	10.000
021244	26*)	25.000	055729	35*)	10.000	092314	12*)	10.000
021473	18*)	100.000	055821	39*)	10.000	092507	1—50	400
021601	06*)	10.000	056040	07*)	10.000	092687	1—50	5.000
021611	1—50	1.000	056260	35*)	10.000	092833	1—50	1.000
022715	1—50	1.000	056286	13*)	10.000	092976	1—50	1.000
022810	47*)	10.000	056338	1—50	400	094036	06*)	10.000
023061	50*)	10.000	056633	13*)	10.000	094249	1—50	1.000
023127	44*)	10.000	057937	12*)	10.000	094462	1—50	400
023324	1—50	1.000	059828	18*)	25.000	094632	1—50	400
023473	1—50	400	060762	1—50	400	094668	1—50	5.000
024165	35*)	10.000	060800	1—50	400	094956	22*)	10.000
025399	48*)	10.000	061022	45*)	10.000	095013	1—50	1.000
025649	49*)	25.000	061131	1—50	400	095661	07*)	10.000
026310	41*)	10.000	062244	20*)	10.000	095894	1—50	400
026480	1—50	400	062656	1—50	1.000	095938	02*)	50.000
026943	19*)	10.000	063431	22*)	10.000	096515	37*)	10.000
027779	49*)	10.000	063676	1—50	5.000	096551	1—50	1.000
027825	07*)	10.000	064419	1—50	400	098136	1—50	400
027997	1—50	1.000	065045	04*)	10.000	098145	01*)	10.000
028315	1—50	5.000	065540	1—50	1.000	098352	1—50	1.000
029682	18*)	10.000	066278	1—50	400	098571	36*)	10.000
029739	1—50	400	067250	29*)	10.000	099049	20*)	10.000
029902	01*)	25.000	067480	44*)	25.000	099293	34*)	10.000
030571	27*)	10.000	067529	11*)	10.000	099424	31*)	25.000
031110	1—50	5.000	067549	1—50	5.000			

უე 01369

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.